"ნაციონალები" ჩივიან - "ლეიბორისტები" საკრებულოში ხელს გვიშლიანო A2

ტატამზე ნაკიდებული ქართველები A6

TV-პროგრამა A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 2 თებერვალი, 2003 წელი. №31 (243)

ფასი 50 თეთრი

## თქვენ ამ ჯარისკაცებით იამაყებთ!

### აშშ-ს საზღვაო ქვეითთა სამხედრო ძალები საჩხერის სამთო ბატალიონს გაწვრთნიან

ვერიკო თევზაძე

*ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა მესამე ფაზაში შევიდა. აშშ-ს საზღვაო ქვეითთა სამხედრო ძალებმა საჩხერის სპეცდანიშნულების სამთო ბატალიონი ჩაიბარეს გასაწვრთნელად.*

ორშაბათიდან ბატალიონი კრწანისის პოლიგონზე დაიწყებს მომზადებას. შეგახსენებთ, რომ საჩხერის ბატალიონის ჯარისკაცებმა, ქართველი ოფიცრების დახმარებით, უკვე გაიარეს ერთთვიანი წვრთნები საველე პირობებში. დღეისთვის ბატალიონში 558 ჯარისკაცია. მათ 40 ამერიკელი ინსტრუქტორი გაწვრთნის.

საჩხერის ბატალიონმა უნდა შეიძინოს ყველა ის თვისება, რაც მთიან რეგიონში საბრძოლო მოქმედებისთვის არის საჭირო. **"ამერიკის საზღვაო ქვეითები პირობას იძლევიან, რომ მსოფლიოში საუკეთესო წვრთნას ჩაგიტარებენ",** - განაცხადა პროგრამის მესამე ფაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე საქართველოში აშშ-ს სრულუფლებიანმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა. პროგრამის კოორდინატორი, მაიორი სკოტ კემბელი გვაიმედებს, რომ საჩხერის ბატალიონის სახით ქართულ არმიას კიდევ ერთი ბრძოლისუნარიანი, ნატო-ს სტანდარტებით აღჭურვილი სამხედრო შენაერთი შეემატება: **"თქვენ იამაყებთ ამ ჯარისკაცებით"!**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გუშინ ნასა-ს კოსმოსური ხომალდი „კოლუმბია" დაიღუპა



*კოლუმბიის ეკიპაჟი სტარტის წინ.*



*საბედისწერო სტარტი.*

REUTERS

გუშინ დაშვებისას კატასტროფა განიცადა აშშ-ს კოსმოსურმა ხომალდმა "კოლუმბიამ." ხომალდი ტეხასის შტატის თავზე, 63 ათასი მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა და ფლორიდის მიმართულებით მიფრინავდა, სადაც დაშვება უნდა განეხორციელებინა. ამერიკის კოსმოსური სააგენტო ნასა ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს. თეთრ სახლში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ჩამოვარდნის პროცესი დაფიქსირებულია ვიდეოკადრებზე, სადაც გარკვევით ჩანს, თუ როგორ დაიშალა ხომალდი რამდენიმე ნაწილად.

უკანასკნელი 42 წლის განმავლობაში დაშვების დროს სააგენტო ნასა-ს არც ერთი ეკიპაჟი არ დაღუპულა. მხოლოდ 1986 წელს ხომალდმა "ჩელენჯერმა" სტარტის აღებისას განიცადა კატასტროფა. გუშინ ჩამოვარდნილი "კოლუმბიის" ბორტზე 7 ასტრონავტი იმყოფებოდა, მათ შორის იყო მსოფლიოში პირველი ებრაელი ასტრონავტი, რომელიც ღია კოსმოსში გავიდა, პოლკოვნიკი ილან რამონი. ხომალდი "კოლუმბია" კოსმოსში 16 დღის განმავლობაში იმყოფებოდა.

## როდის დაიწყება ომი ერაყში?

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ კემპ-დევიდში "სამხედრო საბჭოდ" წოდებული აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების მოლაპარაკებები დასრულდა, რის შემდეგაც ჯორჯ ბუშმა და ტონი ბლერმა ჟურნალისტებისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მათ განაცხადეს, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი კვლავ უგულებელყოფს გაერო-ს მოთხოვნებს და თავისი ნებით არ აპირებს განიარაღებას. აშშ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ვაშინგტონის მოთმინება ამოიწურა და მშვიდობიანი მეთოდებით ერაყის კონფლიქტის დარეგულირებისათვის რამდენიმე კვირა რჩება. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია 22 თებერვლის შემდეგ დაიწყება.

**"სადამ ჰუსეინი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენს. ის უნდა განიარაღდეს. მე სწორედ ამიტომ ვამბობდი და კვლავაც ვიტყვი: ეს პრობლემა რამდენიმე კვირის, და არა თვის, განმავლობაში უნდა მოგვარდეს,"** - განაცხადა ბუშმა. ამ პოზიციას მისი ბრიტანელი კოლეგაც ეთანხმება. **"უნდა ვაღიაროთ, რომ სადამი გაერო-ს ინსპექტორებთან არ თანამშრომლობს, დრო კი იწურება,"** - თქვა ტონი ბლერმა.

ორივე ლიდერს ერაყის საკითხში, ფაქტობრივად, ერთნაირი პოზიცია გააჩნია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ტონი ბლერი ომის დაწყებამდე გაერო-ს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ერაყის პრობლემის დაყენებას კიდევ ერთხელ მოითხოვს.

პრეზიდენტ ბუშის აზრით კი, გაერო-ს ახალი რეზოლუცია ერაყთან

გაგრძელება A3 გვერდზე

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

... მოხდა საქართველოსთვის ისტორიულად უპრეცედენტო ფაქტი: ჩვენ სამშობლოში არსებულ ყველა ეკლესიას ერთად დაესხნენ თავს. საყოველთაო ეკუმენური ლოცვა, რომელიც მთელ მსოფლიოში, ყველგან წარმატებით იქნა აღსრულებული, ჩვენ სამშობლოში, რომელიც ტრადიციული რჯულშემწყნარებლობით ამაყობს – სამწუხაროდ, ძალადობით ჩაიშალა.

*წერილს ხელს აწერენ:*

**დეკანოზი ბასილ კობახიძე**
**(მართლმადიდებელი ეკლესია)**
**ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო**
**(კათოლიკური ეკლესია)**
**ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი**
**(ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია)**
**ეპისკოპოსი გერტ ჰუმელი**
**(ევანგელურ-ლუთერელი ეკლესია)**

A2

## ექს-პრეზიდენტის ქვრივს პოლიციამ გზა გადაუღობა



*მანანა არჩვაძე-გამსახურდია: "პარლამენტის შენობას არავის დავუთმობთ".*

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ პარლამენტის შენობასთან მისული ზვიადისტები კიბეებამდე არ მიუშვეს – პარლამენტის მისადგომები დილიდან პოლიციის კორდონით გახლდათ გარშემორტყმული.*

ზაფხულიდან პერმანენტულად მიმდინარე აქცია, რომლის მონაწილენი ყოველდღიურად, დღის ორი საათისთვის იკრიბებოდნენ და დაღამებამდე დაულალავად აძაგებდნენ "შევარდნაძე – იუდასა" და მის "დანაშაულებრივ ხელისუფლებას", გუშინ ვეღარ განახლდა. აქციის მონაწილეებს ერთგვარ სამუშაო ადგილად ქცეული კიბეებისკენ გზა პოლიციელებმა ჩაუკეტეს. მათ ამჯერად ძალისა და ხელკეტების გამოყენება არ დასჭირვებიათ. აქციის მონაწილეებს კი თავიანთ ლიდერთან, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან ერთად, მინი-მიტინგის ჩატარება პოლიციის კორდონთან მიჯრით მოუხდათ. თუმცა, ეფექტი, რა თქმა უნდა, მცირე გახლდათ – ხმის გამაძლიერებლების გარეშე ექს-პრეზიდენტის ქვრივის ხმა, მასთან ჯერ კიდევ შემორჩენილი რამდენიმე მომხრის გარდა, ხუთიოდე პოლიციელს თუ ესმოდა. ყოველდღიური აქციებისგან განსხვავებით, მის სიტყვებს არც ტაშის გრიალის აუდიო-ჩანაწერი აგვირგვინებდა. მიუხედავად ამისა, არჩვაძე-გამსახურდია მაინც დაულალავად იმეორებდა, რომ პარლამენტის შენობას ის არავის დაუთმობს, რომ ეს ადგილი მისი და მისი ხალხის სისხლით მოპოვებულია და ვინც არ უნდა ალუდგეთ წინ, კიბეებს მაინც მიაღწევენ და

გაგრძელება A2 გვერდზე

## სანამ ყველა ტროტუარი და გაზონი გაყიდულა

სოფო კვინტრაძე

*თბილისის საკრებულოში ანტიკორუფციული კომიტეტის სხდომა ჩვეული პათოსითა და ხმაურით ჩატარდა. ამჯერად საკრებულოს დეპუტატებმა დედაქალაქში უკანონოდ გაყიდული მიწების შესახებ იმსჯელეს. ანტიკორუფციული კომიტეტის თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა წარმოადგინა კომიტეტის დასკვნა 2000-2002 წლებში თბილისში უკანონოდ გაყიდული არასამეურნეო მიწის ნაკვეთების შესახებ. ჯუღელის ინფორმაციით, ამ სამი წლის განმავლობაში დედაქალაქში გაიყიდა 917 ათასი კვადრატული მეტრი მიწა, რაშიც, მთლიანად, ექვს-ნახევარი მილიონი ლარი იქნა გადახდილი. ამდენად, გამოდის, რომ ერთი კვადრატული მიწის საშუალო ფასი 7 ლარი ყოფილა. ეს მაჩვენებელი ბევრად ჩამოუვარდება მიწის საბაზრო ფასს. ანტიკორუფციული კომიტეტის გათვლებით, ზემოაღნიშნული 917 ათასი კვადრატული მეტრი მიწა საბაზრო ფასით რომ გაყიდულიყო (შესაბამისად, ერთი კვადრატული მეტრი, დაახლოებით, 300 ლარი), ბიუჯეტში 280 მილიონი ლარი შევიდოდა.*

როგორც სხდომაზე განაცხადეს, აღნიშნული მიწის ნაკვეთები, უმეტეს შემთხვევაში, უკანონოდ არის გაყიდული, რადგან ისინი მიეკუთვნება საერთო-სახალხო სარგებლობის ისეთ ადგილებს, როგორებიცაა: ტროტუარები, ქუჩები, სატრანსპორტო ადგილები, საბავშვო მოედნები, გამწვანებული ლანდშაფტები, მტკვრის კალაპოტი და ა.შ. ბესო ჯუღელმა საკრებულოს წევრებს გაყიდული მიწის ნაკვეთების ამსახველი ვიდეომასალა წარუდგინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | ☁ |
| ქუთაისი | 15 | ☂ |
| ბათუმი | 16 | ☁ |
| სოხუმი | 13 | ☂ |
| ფოთი | 15 | ☂ |
| თელავი | 11 | ☁ |
| ზუგდიდი | 15 | ☂ |
| გორი | 8 | ☂ |
| ახმეტა | 11 | ☁ |
| ჭიათურა | 11 | ☂ |
| გაგრა | 12 | ☂ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1849 |
| ევრო | 2.3543 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6178 |
| რუბლი | 0.0687 |

## რუსეთის უმსხვილესი აფერისტის თანამოაზრეებს სპეცსამსახურებში ეძებენ

რუსეთის უდიდეს აფერისტად აღიარებული სერგეი მავროდი რუსეთის სამართალდამცველებმა, ექვსწლიანი ძებნის შემდეგ, გუშინწინ მოსკოვის ცენტრში დააკავეს. მის დროებით საცხოვრებელ ბინაში მისულ მილიციას არც მავროდიმ და არც მისმა პირადმა დაცვამ წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ერთადერთი, რაც სახელგანთქმული ფინანსური პირამიდის - "MMM"-ის დამაარსებელმა მილიციელების დანახვის შემდეგ გააკეთა, ის გახლდათ, რომ თაროდან გადმოიღო მიხეილ კნიაზევის წიგნი, სახელწოდებით: "ერთი დანაშაულის ისტორია – სერგეი მავროდი, დიდებული და საშინელი" და შემდეგი შინაარსის მინაწერი გაუკეთა: "სახსოვრად სისხლის სამართლის სამძებროს".

მავროდის დაკავების შემდეგ ოპერაციის ხელმძღვანელი, სამძებრო-ოპერატიული ბიუროს უფროსი კონსტანტინ კრისანოვი გაკვირვებით ამბობდა: "რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი აფერისტი თურმე მოსკოვიდან არსად წასულა და არც პლასტიკური ოპერაცია გაუკეთებია, როგორც გაზეთები წერდნენ. ის ჩვენ უბრალო პარიკის დახმარებით გვემალებოდა". თუმცა, როგორც ირკვევა, საქმე არც ასე მარტივადაა. დღეს რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები უკვე საუბრობენ მავროდის თანამზრახველებზე და მათ სპეცსამსახურების გადამდგარ თანამშრომლებს შორის ეძებენ.

სამართალდამცველთა განცხადებით, იმ ფაქტმა, რომ მავროდის მალვაში პროფესიონალები ეხმარებოდნენ, ამდენი ხნის განმავლობაში მისი დაუსჯელობა განაპირობა. "სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომლებმა

გაგრძელება A3 გვერდზე

## მსოფლიო ბანკის პირობა - კორუფციის შემცირება

*თბილისში გასულ კვირას ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონული განყოფილების დირექტორი დონა დოუსეთ-კოიროლო. მან, მთავრობის ოფიციალურ პირებთან ერთად, საქართველოში მსოფლიო ბანკის საკრედიტო პორტფელი განიხილა. მხარეებმა აგრეთვე იმსჯელეს მსოფლიო ბანკის მიერ ქვეყნისათვის დახმარების სტრატეგიასა (CAS) და სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგრამაზე.*

მსოფლიო ბანკის საკრედიტო პორტფელის ორდღიანი განხილვის დასასრულს, რეგიონული განყოფილების დირექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კოორდინირება, თანადაფინანსებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა და სწორი ნაბიჯების გადადგმა დღეისთვის მიღწეული წარმატებების სამომავლოდ შესანარჩუნებლად და გასავითარებლად. ამჟამად მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება 21 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 395 მილიონი აშშ დოლარია.

მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, დონა დოუსეთ-კოიროლომ იმსჯელა განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA-ს) მხარდაჭერაზე, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ახალ სამწლიან პროგრამასა და მის პრიორიტეტებზე. მან ხაზი გაუსვა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგრამის CAS-თან დაკავშირების მნიშვნელობას და მიუთითა, რომ CAS-ი სწორედ ამ პროგრამას და მის პრიორიტეტებს დაეყრდნობა. მსოფლიო ბანკი კვლავაც განაგრძობს ადამიანური რესურსებისა და სოციალური დაცვის განვითარების, ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ინფორმაცია A4 საკვირაო A5 კულტურა A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

## ექს-პრეზიდენტის ქვრივს პოლიციამ გზა გადაუღობა

პირველი გვერდიდან

აქციასაც განაგრძობენ – სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეთ ეს.

თავის მხრივ, უკან დახევას არც პოლიციის ხელმძღვანელობა აპირებს – მათი თქმით, პოლიციის კორდონი მანამდე იქნება პარლამენტის შენობასთან, სანამ საჭიროება მოითხოვს. საჭიროების მიხედვითვე აპირებენ ისინი ძალის გამოყენებასაც.

**"ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამ აურზაურს, ხომ უნდა დამყარდეს ბოლოს და ბოლოს ქალაქში წესრიგი",** - ცოტა არ იყოს დაგვიანებით, მაგრამ მაინც გახსენებია პოლიციის ხელმძღვანელობას, რომელიც კატეგორიულად უარყოფს, რომ ზვიადისტების აქციის ალკვეთა მათ მიერ ჟურნალისტზე თავდასხმამ ან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ აქციის სავარაუდო მმართველთა დასახელების საშიშროებამ უკარნახა.

გარდა პარლამენტის შენობის კიბეების დაცვისა, ადმინისტრაციული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვედანაყოფს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია – ახსნა-განმარტებითი სამუშაო უნდა ჩაატარონ აქციის მონაწილეთა შორის; უნდა აუხსნან მათ, რომ არასანქცირებული მიტინგების მოწყობა, მით უმეტეს – ქალაქის ცენტრში, არ შეიძლება. თუ მათი შეგონება არ მოისმინეს და ვინმემ კორდონის ძალით გარღვევა სცადა, ყოველი შემთხვევისთვის იქვე დგას პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის მანქანა, რომელსაც ურჩი მომიტინგეები ქალაქგარეთ არაერთხელ გაუსეირნებია.

საღამოს მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მისი მომხრეები პოლიციამ გააძევა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან, მაგრამ არ არის გამორიცხული, ხვალ ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

## აფხაზები გამრავლებაზე ზრუნავენ

სამშობიარო სახლებში გამრავლების პრობლემის ხელშეწყობის თემას მიეძღვნა სოხუმის მთავრობაში გამართული სპეციალური სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ვლადიმერ ზართანია, ჯანდაცვის მინისტრი ლუდმილა ავიძბა, ვიცე-სპიკერები ალექსანდრე სტრანიჩკინი და კონსტანტინე ოზგანი, სამშობიარო სახლების მთავარი ექიმები და რაიონებისა და ქალაქების ჯანდაცვის განყოფილებების ხელმძღვანელები. ზანთარიამ აღნიშნა იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს სამშობიარო სახლების საქმიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მთავრობამ 4 მილიონი რუბლი გამოყო მშობიარეთა დახმარების მიზნით. კერძოდ, თითოეულ მშობიარეს გადაეცემა 2 ათასი რუბლი. აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის ფონდიდან კი მშობიარე ქალებს, წახალისების სახით, ერთ შვილზე 300, ორზე კი 500 რუბლი გადაეცემათ. ზანთარიას თქმით, 2002 წელს სამშობიარო სახლებს ცალკეული პროგრამებით გადაეცათ 1 748 700 რუბლი, მათ შორის, მედიკამენტებზე - 975 400 რუბლი. მან მოუწოდა სამშობიარო სახლების დირექტორებსა და მედპერსონალს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ თითოეული მშობიარის მიმართ. **კავკას-პრესი**

## ავტომობილების განბაჟების დეკლარაციებსაც აყალბებენ

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის დამზადება-გამოყენების ფაქტი გამოავლინეს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შარშან საგზაო პოლიციამ რეგისტრაციაში გაატარა მარნეულში მცხოვრები ელბრუს გარან ოღლი შამილოვის კუთვნილი ავტომობილი "ოპელი", რომელიც, წარმოდგენილი დეკლარაციის თანახმად, 2002 წლის 24 აგვისტოს აჭარის რეგიონულ საბაჟოში იყო განბაჟებული.

როგორც ჩანს, საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა საეჭვოდ მიიჩნიეს შამილოვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და განბაჟების დამადასტურებელი საბუთი აჭარის საბაჟოში გადაამოწმეს.

აჭარიდან მიღებული მასალების თანახმად, შამილოვის მიერ წარდგენილი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ნომრით განბაჟებულია მარმარილო, ბენზინი და ავტომობილი "ფორდი". რაც შეეხება შამილოვის "ოპელს," იგი აჭარის საბაჟოში განბაჟებული საერთოდ არ აღმოჩნდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. შამილოვს, რომელმაც ყალბი განბაჟების დეკლარაციით 994 ლარი დაზოგა, შეიძლება სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქროს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შამილოვის გვერდით ყალბი დოკუმენტების დამზადებაში მხილებული სხვა პირებიც აღმოჩნდნენ.

### მოკლედ

**მოსკოვი.** სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია აცხადებს, რომ "საქართველო აფხაზეთის რეზერვაციად გადაქცევას, ხოლო რესპუბლიკის მოსახლეობის რუსეთისაგან პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოქცევას ცდილობს". ამის შესახებ შაბათს მან მოსკოვში ჟურნალისტებს რევაზ ადამიას პრეს-კონფერენციის კომენტირებისას განუცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი შალვა ფიჩხაძე აცხადებს, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქმედებების, როგორც საქართველოს ტერიტორიების ანექსიის, იურიდიულად დასაბუთება ძნელი იქნება, მაგრამ ეგრეთ წოდებული პასპორტიზაცია და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა საქართველოს მიმართ აშკარად "არამეგობრული ნაბიჯებია". იგი გამორიცხავს აფხაზეთის რუსეთთან მიერთების შესაძლებლობას. "მსოფლიოში ძალების ამჟამინდელი განლაგებით ეს შეუძლებელია, მაგრამ აფხაზეთში მიმდინარეობს დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის მცოცავი პროცესი, რომელიც მომავალში ხელს შეუშლის დევნილების დაბრუნებას", – თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** აფხაზეთიდან დევნილები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეგიონულ ორგანიზაციებთან ერთად 3 თებერვალს ზუგდიდში მრავალათასიანი მიტინგის ჩატარებას გეგმავენ. აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნები იქნება რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა, სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა, ასევე გამოითქმება უკმაყოფილება კიევში ჩატარებული დსთ-ს სამიტისა და 30 იანვარს მიღებული, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიმართ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** აზერბაიჯანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თავისი მშვიდობისმყოფელების გაგზავნის საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში გაჯი გაჯიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარე მურთუზ ალესკეროვი მიმდინარე წელს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1-4 თებერვალს გუდაურში გაიმართება სემინარი თემაზე - "რეგიონული თანამშრომლობა". სემინარს დაესწრებიან საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და მოლდოვას ეროვნული საკოორდინაციო ბიუროების მხარდამჭერი ჯგუფების ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერი გიორგი კობახიძე ბათუმში ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით მიემგზავრება. კობახიძე "აღორძინებას" საიმედო პირტნიორად მიიჩნევს და ბოლო დროს გამოკვეთილად ინტენსიურ კონსულტაციებს მართავს მის ლიდერთან, თუმცა გადაწყვეტილება "ბათუმურ" ძალასთან ალიანსის თაობაზე ჯერჯერობით არ მიუღია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი ამტკიცებს, რომ საქართველოს და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" განხორციელებული დივერსიული აქტები, რასაც კოდორის ხეობაში რამდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი, "თბილისში იგეგმებოდა". როგორც ემზარ კვიციანმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, "კავკასიონის" ხელოვნურად მწყობრიდან გამოყვანა ქვეყნის ენერგეტიკულ უწყებებში არსებული დაპირისპირების მიზეზია, რაშიც დივერსიების უშუალო მომწყობ კოდორში მცხოვრები გასვიანების ოჯახთან საუბრისას დარწმუნდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** თბილისსა და სოხუმს შორის მოლაპარაკებების განახლების პერსპექტივები განიხილეს რუსეთის ფედერაციის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ვალერი ლოშჩინინმა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერმა გენადი გაგულიამ. შეხვედრა 31 იანვარს გაიმართა. ამის შესახებ შაბათს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს. **კავკას-პრესი**

## თქვენ ამ ჯარისკაცებით იამაყებთ!

პირველი გვერდიდან


"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ეტაპის დაწყების ცერემონიალი.

ამერიკული მხარის შეფასებით, ინსტრუქტორებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი ჯარისკაცების საბრძოლო თავდადებამ. აშშ-ს მთავრობა იწონებს ჩვენი ჯარისკაცების სამხედრო მომზადებას.

საჩხერის მე-16 ბატალიონთან ერთად, ამერიკელები 45 მესაზღვრეს მოამზადებენ (სულ პროგრამის ფარგლებში 250 მესაზღვრე უნდა გაწვრთნან. წვრთნის პირველ ეტაპზე უკვე 16 მესაზღვრე მოამზადეს).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განცხადებით, საჩხერის ბატალიონს უმძიმესი შრომა მოუწევს, რათა დაკისრებული მისია პირნათლად შეასრულოს. **"ამერიკელ ინსტრუქტორებს კი, ამ ბატალიონის სახით, საინტერესო ექსპერიმენტი ელით."**

"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში სულ ოთხი ბატალიონი (სამი ათასი კაცის შემადგენლობით) უნდა მომზადდეს. "კომანდო" პირველი ბატალიონია, რომელიც პროგრამის პირველ ეტაპზე გაიწვრთნა. დღეისთვის კომანდოსები ვაზიანის სამხედრო ბაზაზე იმყოფებიან. ქართული და ამერიკული მხარის პროგნოზით, ოთხი თვის შემდეგ საჩხერის ბატალიონის მომზადებაც ისეთივე წარმატებით დასრულდება, როგორც "კომანდოსი."

პროგრამის დასკვნით ეტაპზე ნავარაუდევია ამერიკული მხარის მიერ ქართული არმიისთვის საბრძოლო შეიარაღების გადაცემა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებს. **"დროს ნუ გავუსწრებთ",** - ბატონი თევზაძე ჩვეულ სიდინჯეს ინარჩუნებს. რაც შეეხება ქართული შეიარაღებული ჯარების გენერალური შტაბის უფროსს ჯონი ფირცხალაიშვილს, მისი აზრით, ქართულ არმიას უკვე შესწევს ძალა, დროს კვალდაკვალ მისდიოს, **"აქტიურად ჩაებას მსოფლიო პროცესებში და "წვრთნის და აღჭურვის" პროგრამის დახმარებით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა."**

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ!

საქართველოს ქრისტიანული ეკლესიები მოგმართავთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს მთელ საზოგადოებას, იმ შემაძრწუნებელი მოვლენის გამო, რომელიც მოხდა 24 იანვარს საყოველთაო, ეკუმენური ლოცვის დღეს, როდესაც მსოფლიოს ყველა ეკლესია ლოცულობს ქრისტიანთა ერთობისათვის. ამ დღეს თბილისში, ევანგელურ- ბაპტისტური ეკლესიის კათედრალურ ტაძარში (კედიას ქ. 6) თავი მოიყარეს საქართველოში არსებული ყველა ქრისტიანული ეკლესიის - მართლმადიდებელი, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-ბაპტისტური და სომხური - სამოციქულო ეკლესიების წარმომადგენლებმა. საქართველოში საყოველთაო ეკუმენური ლოცვები აღევლინება ბოლო 5 წლის განმავლობაში: ყოველ წელიწადს სხვადასხვა ეკლესიაში (1999-2000 წწ. - კათოლიკურ ეკლესიაში, 2001 წ. - ლუთერულ ეკლესიაში, 2002 წ. - სომხურ სამოციქულო ეკლესიაში). წელს საყოველთაო ეკუმენურ ლოცვას მასპინძლობდა საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია.

როდესაც ყველა ეკლესიის ეპისკოპოსი, მღვდელთმსახური, მორწმუნეები, ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და თბილისში აკრედიტებული დიპლომატური კორპუსის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ ლოცვის აღსავლენად, ეკლესიას თავს დაესხა ხულიგნების კარგად ორგანიზებული ჯგუფი, ბასილ მკალავიშვილის წინამძღოლობით. მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სასულიერო პირებს, მორწმუნეებს, შეიჭრნენ ეკლესიის შენობაში, დალეწეს და დაარბიეს იგი, დახიეს რელიგიური ლიტერატურა, ძალადობით დაიკავეს ეკლესიის შენობა და მიმდებარე ტერიტორია. ხულიგნების წინამძღოლი, მიმართავდა რა ძალადობის მუქარითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით სალოცავად მოსულ ადამიანებს, უკრძალავდა მათ ეკლესიაში შესვლას ღვთისმსახურების აღსასრულებლად. პოლიცია, რომელიც რამდენიმე დღით ადრე იყო გაფრთხილებული საყოველთაო ეკუმენური ლოცვის ორგანიზატორთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დაგვიანებით გამოჩნდა ადგილზე. შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსასვლელად სასულიერო პირებმა აიღეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და შეკრებილ საზოგადოებას სთხოვეს, შინ წასულიყვნენ. ხულიგნებმა თავიანთ საწადელს მიაღწიეს.

მოხდა საქართველოსთვის ისტორიულად უპრეცედენტო ფაქტი: ჩვენ სამშობლოში არსებულ ყველა ეკლესიას ერთად დაესხნენ თავს. საყოველთაო ეკუმენური ლოცვა, რომელიც მთელ მსოფლიოში, ყველგან წარმატებით იქნა აღსრულებული, ჩვენ სამშობლოში, რომელიც ტრადიციული რჯულშემწყნარებლობით ამაყობს – სამწუხაროდ, ძალადობით ჩაიშალა. ჩვენ, როგორც ქრისტიანი სასულიერო პირები, ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას და ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი მრევლისა და საქართველოს წინაშე.

საქართველოში არსებული ყველა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა მიანიშნებს უკვე შექმნილ ყოვლად აუტანელ სიტუაციაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარეშე ძალები ამ სფეროშიც გეგმავენ, მიაყენონ დიდი ზიანი ჩვენს სამშობლოს.

ამ მოვლენით პირველ რიგში და ყველაზე მეტად დაზარალდა მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოსი, ვინაიდან მთელი მსოფლიოს წინაშე ხულიგნები თითქოს მართლმადიდებელთა სახელით მოქმედებენ. ჩვენ გულწრფელად ვართ დაინტერესებულნი, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ იყოს ასოცირებული ამგვარ ძალადობასთან.

ჩვენ არაერთხელ მოგვიმართავს თქვენთვის რელიგიურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელთაც აქამდე ჰქონდა ადგილი ცალკეული ეკლესიების მიმართ, მაგრამ დღემდე ხელისუფლებას რადიკალური და ნაყოფიერი ზომები არ მიუღია. ამით გათამამებული ექსტრემისტული ძალები ახლა უკვე ყველა ქრისტიანულ ეკლესიას დაესხნენ თავს, თანაც ეს მოხდა მსოფლიო ქრისტიანთა ერთობის დღეს.

სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია; დრო აღარ ითმენს; აუცილებელია, ხელისუფლებამ გადამწყვეტი ზომები მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები კატასტროფული იქნება. ის, რაც ახლა თბილისში და საქართველოს ზოგიერთ მხარეში ხდება, უკვე მთელ ქვეყანას ედება. დროა ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს გაუგონარი ბარბაროსობის, რელიგიური ტერორიზმის წინააღმდეგ.

თქვენო აღმატებულებავ, გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ საგანგებო ყურადრება მიაქციოს რელიგიურ სიტუაციას საქართველოში და ჯეროვანი გადაწყვეტილაბანი მიიღოს სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების რეალურად უზრუნველყოფის მიზნით. მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება არ აგვარებს სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის საკითხს, რაც ხელს უწყობს ქრისტიანული ეკლესიების განუკითხავ დევნას რელიგიური ტერორისტების მხრიდან.

მოველით, რომ თქვენ მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები ნათლად წარმოაჩენენ იმ ორიენტაციას, რომელიც საქართველომ აირჩია.

მოვითხოვთ შეხვედრას თქვენთან, როგორც ქვეყნის კონსტიტუციის გარანტთან, რათა უფრო დეტალურად წარმოგიდგინოთ არსებული რელიგიური მდგომარეობის უმძიმესი, ანტისახელმწიფოებრივი არსი.

ღრმა პატივისცემით:

**დეკანოზი ბასილ კობახიძე**
**(მართლმადიდებელი ეკლესია)**

**ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო**
**(კათოლიკური ეკლესია)**

**ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი**
**(ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია)**

**ეპისკოპოსი გერტ ჰუმელი**
**(ევანგელურ-ლუთერელი ეკლესია)**

*თბილისი 25. 01. 2003*

## "ნაციონალები" ჩივიან - "ლეიბორისტები" საკრებულოში ხელს გვიშლიანო

სოფო ბუკია


გიორგი კარბელაშვილი და კახა შენგელია.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეჭვიანი "ლეიბორისტების" საპასუხოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი კანცელარიის ნების განმახორციელებელია, გუშინ დედაქალაქის ვიცე-პრემიერებმა - გიორგი კარბელაშვილმა და კახა შენგელიამ "ნაცმოძრაობის" ნამუსის დაცვა იტვირთეს და ნათელაშვილის გუნდის ბრალდებათა უარსაყოფად, პრესკონფერენცია გამართეს.

**"იმ თანამდებობაზე, რომელზეც მე დავინიშნე, ოთხი წლის განმავლობაში ირიცხებოდა ლეიბორისტი მუხრან მდივანი, რომელსაც რეალურად არაფერი გაუკეთებია,"** – აღნიშნა შენგელიამ.

საკუთარ საქმიანობას ვიცე-პრემიერის პოსტზე შენგელია დადებითად აფასებს, რადგან პენსიები სამი ლარით გაიზარდა, დაიწყო სასკოლო რეფორმა, რომლის ძალითაც "კარტოზიასგან სკოლებს წამოიღებენ", პირველკლასელებს მომავალ წელს უფასო სახელმძღვანელოებს დაურიგებენ და საავადმყოფოების პრივატიზების ნებას არავის მისცემენ.

ამ ყველაფრის განხორციელებაში შენგელიასა და საკრებულოს "ლეიბორისტები" უშლიან ხელს, მაგრამ ამ ბარიერის დაძლევას ვიცე-პრემიერი მაინც გვპირდება.

შენგელიას აზრით, საკმაოდ საეჭვოდ დაემთხვა "მოქკავშირისა" და "ლეიბორისტების" პოზიციები ვაკე-საბურთალოს გამგებელთან დაკავშირებით. **"ისინი თავად იმართებიან სახელისუფლებო ძალების მიერ, ეს ნათელია",** - აღნიშნავს შენგელია.

გიორგი კარბელაშვილმა პოლიტიკური განცხადებებისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ლეიბორისტების ინიციატივა უფასო სასწრაფო დახმარების თაობაზე წმინდა წყლის დემაგოგია და პოპულიზმია. **"ლეიბორისტები მიხვდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის გუნდი და მთელი საკრებულო საქმის გამკეთებლები ვართ, ეს კი მათ არ აწყობთ, ამიტომ ხელს გვიშლიან,"** – ამბობს კარბელაშვილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# როდის დაიწყება ომი ერაყში?

პირველი გვერდიდან


REUTERS
ჯორჯ ბუში და ტონი ბლერი ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

დაკავშირებით სასარგებლო იქნება, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენს. **"ეს საკითხი საწრაფოდ უნდა გადაწყდეს. თუკი გაერო მორიგი რეზოლუციის მიღებას გადაწყვეტს და ეს კიდევ ერთი დასტური იქნება, რომ სადამ ჰუსეინის განიარაღება გვაქვს გადაწყვეტილი, ჩვენ ამას მივესალმებით,"** - აცხადებს პრეზიდენტი ბუში.

სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს მიმომხილველთა აზრით, მოკავშირეებმა ომის დაწყება დიდი ხნის წინ გადაწყვიტეს და ამჟამად მათ კი აღარ სჭირდებათ მსოფლიოს დარწმუნება ერაყის პრობლემის მოგვარების აუცილებლობაში, არამედ თავად ერაყს ესაჭიროება სასწრაფო ზომების მიღება, რათა მოსალოდნელი საშიშროება თავიდან აიცილოს.

პარალელურად, ამერიკული ტელეკომპანია "ეი-ბი-სი," ვაშინგტონის ადმინისტრაციასა და პენტაგონში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც აშშ-ს სამხედრო ძალების მომზადება ერაყის წინააღმდეგ ომისათვის ინტენსიურად და გრაფიკის მკაცრი დაცვით მიმდინარეობს და სამხედრო კამპანია ერაყში თებერვლის ბოლო კვირას დაიწყება.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, პენტაგონმა ერაყის საზღვრებთან უკვე განათავსა 87000-კაციანი სამხედრო დაჯგუფება. რაც შეეხება ქუვეითს, საიდანაც ამერიკელთა შეტევის დაწყებაა მოსალოდნელი, იანვრის დასაწყისში იქ ბაზირებულ ამერიკელ სამხედროთა რაოდენობა დღეისათვის უკვე სამჯერ არის გაზრდილი და 35 ათას ჯარისკაცს აღწევს.

ტელეკომპანია "ეი-ბი-სი"-ს ინფორმაციას ომის დაწყების თარიღის შესახებ ამყარებს ის გარემოებაც, რომ აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამერიკელ ჯარისკაცთა მცირერიცხოვანი რაზმები უკვე იმყოფებიან ქურთების მიერ კონტროლირებად ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე. მათთან ერთად არიან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები, რომლებიც ქურთული დაჯგუფებების ლიდერებთან ამერიკის სამხედრო გეგმებს ათანხმებენ და ქურთების შესაძლო როლს განსაზღვრავენ

ამასობაში, ერაყის მთავრობამ ვაშინგტონს კვლავ სთხოვა ბაღდადში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სპეციალისტების გაგზავნა, რათა აშშ-ს ადმინისტრაცია თავად დარწმუნდეს, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნია. **"ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს არ ფლობს და ამიტომ მოვუწოდებთ ვაშინგტონს, გამოაგზავნოს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები, რათა ისინიც დარწმუნდენ ამაში,"** - განაცხადა გაერო-ს ინსპექტორებთან კოორდინაციის კომისიის თავმჯდომარემ, გენერალმა ჰოსა მოჰამედ ამინმა.

ამასთანავე, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს გაუგზავნა წერილი, სადაც მოითხოვა, რომ აშშ-მ გაერო-ს წარუდგინოს მტკიცებულება ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის თაობაზე. წერილში გამოთქმულია ეჭვიც, რომ ვაშინგტონმა ასეთი მტკიცებულება, შესაძლოა, თავად შეთითხნოს. **"ჯაშუშობის, ფაბრიკაციის, ტყუილისა და სიცრუის ტექნოლოგიებში უპირატესობის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ ვაშინგტონმა ერაყის წინააღმდეგ ყალბი მტკიცებულებები შექმნას,"** - ნათქვამია ნაჯი საბრის მიმართვაში.

რასაკვირველია, შექმნილ რეალობაში ერაყის მთავრობის მოთხოვნებსა და პოზიციას უკვე აღარავინ აქცევს ყურადღებას. ექსპერტები და დამკვირვებლები დარწმუნებულები არიან, რომ ერაყის საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ტელეკომპანია "სქაი-თივი"-სთან საუბარში განაცხადა, რომ, ომის დაწყების შემთხვევაში, ერაყში რეჟიმის შეცვლა მოხდება. საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციების კომენტირებისას კი, ბლერმა თქვა: **"მოდით, დავიცადოთ და ვნახოთ, რა იქნება შემდეგ."** მან აღნიშნა, რომ გასული წლის ნოემბერში, როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1441 რეზოლუცია განიხილებოდა, ყველანი ერთ პოზიციაზე იდგნენ. ბრიტანეთის ლიდერის აზრით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ევროპის ყველა ლიდერი გაერთიანდეს იმ პროცესის ირგვლივ, რომელიც ერაყის საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს ჩარჩოებში მიმდინარეობს.

ერაყში ომის დაწყების საკითხში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მსოფლიოში შექმნილ საზოგადოებრივ აზრს. ამ საკითხზე სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახურები საკმაოდ ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ. გუშინ სააგენტო "ბი-ბი-სი"-მ ერთ-ერთი ასეთი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ერთდროულად ჩატარდა. რესპოდენტებს ეთხოვათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია სამხედრო კამპანიის მიმართ ოთხი პასუხის მეშვეობით: **"არავითარ შემთხვევაში," "მხოლოდ გაერო-ს სანქციით," "აშშ-სა და მისი მოკავშირეების ცალმხრივი მოქმედებით"** და **"არ ვიცი."**

აშშ-ში გამოკითხულთა 21 პროცენტს ომის დაწყება არანაირ შემთხვევაში არ სურს, 34 პროცენტი ომს მხოლოდ გაერო-ს სანქციის შემთხვევაში ემხრობა, 33 პროცენტი კი სამხედრო კამპანიას მხარს გაერო-ს სანქციის გარეშეც დაუჭერს. დიდ ბრიტანეთში ასეთი სურათი შეიქმნა: 41 პროცენტი კატეგორიული წინააღმდეგია, 39 პროცენტი გაერო-ს სანქციის შემთხვევაში დაუჭერს მხარს ომის დაწყებას და მხოლოდ 10 პროცენტი ემხრობა აშშ-სა და მისი მოკავშირეების ცალმხრივ ქმედებას.

გერმანიაში, რუსეთსა და საფრანგეთში კი დაახლოებით ერთნაირი შედეგებია. გერმანელების - 50, ფრანგების - 59 და რუსების 60 პროცენტი აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ, გაერო-ს სანქციის გარეშე, ომის დაწყებას გაუმართლებლად მიიიჩნევს.

ამდენად, ერაყის საკითხის გარშემო ძირითადი კონტურები უკვე მოხაზულია. 5 თებერვალს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის კიდევ ერთ, და ალბათ საბოლოო, პროექტს წარუდგენს. ამ პროექტის თანახმად, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას მხარი უნდა დაუჭიროს, თუკი სადამ ჰუსეინი განიარაღებაზე უარს იტყვის. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი აღნიშნულ პროექტს ხმას არ მისცემენ. თუმცა, ეს ვაშინგტონს გაზრახვაზე ხელს ვერ აალებინებს და აშშ-ს სამხედრო ძალები, ბრიტანელებთან ერთად, ფართომასშტაბიან შეტევით ოპერაციებს დაიწყებენ.

# ხანმოკლე ომი ამერიკის ეკონომიკას დიდ სტიმულს მისცემს

თორნიკე შარაშენიძე

**"ერაყთან ხანმოკლე წარმატებული ომი საუკეთესო ვარიანტი იქნება აშშ-ს ეკონომიკისათვის,"** - ასეთ დასკვნამდე მივიდა ბრიტანეთის მენეჯერთა ინსტიტუტი. ამ უკანასკნელმა გათვალა ყველა შესაძლო სცენარი, რომლითაც შეიძლება განვითარდეს საომარი მოქმედებები სპარსეთის ყურეში და პროგნოზი გაუკეთა მათ გავლენას მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის ეკონომიკაზე.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ხანგრძლივი ომი ერთი ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასს 80 დოლარამდე ასწევს. ამას მოჰყვება ამერიკის ნავთობმარაგის 30 პროცენტითა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტით შემცირება. თუმცა, ინსტიტუტმა იქვე დასძინა, რომ ამგვარი სცენარი ნაკლებად სავარაუდოა. რეალობასთან უფრო ახლოა ხანმოკლე და წარმატებული ომი, რომლის წყალობითაც ბარელი ნავთობის ფასი მალე ჩამოვა 20 დოლარზე, ხოლო აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მიმდინარე წელს 2,9 პროცენტს შეადგენს.

**"ეკონომიკური თვალსაზრისით, ხანმოკლე ომი გაცილებით უკეთესია ამერიკისათვის, ვიდრე ახლანდელი მშვიდობა, რადგან ომი ბოლოს მოუღებს არსებულ გაურკვევლობას, რომელშიც ყველა იმყოფება,"** – ნათქვამია გამოკვლევაში.

გარდა ამისა, წარმატებული ომი საგრძნობლად აამაღლებს პრეზიდენტ ბუშის რეიტინგს და მას აღარ გაუჭირდება კონგრესში საკმარისი ხმების მოგროვება თავისი რევოლუციური კანონისთვის, რომელიც გადასახადების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებს. ნავთობზე დაბალი ფასები კი ხელ-ფეხს გაუხსნის აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო ბანკს საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად.

გამოკვლევის ავტორის, ინსტიტუტის მთავარი ეკონომისტის გრემ ლიჩის თქმით, ბრიტანელმა ბიზნესმენებმა ამთავითვე უნდა იცოდნენ, თუ როგორი გავლენა ექნება ომს აშშ-ს ეკონომიკაზე, რომელიც ბრიტანული ექსპორტისათვის უმთავრეს ბაზარს წარმოადგენს.

# "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერმა" 100 მილიარდი იზარალა

*მსოფლიოს უმსხვილესმა მედია-გიგანტმა "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერმა" აშშ-ს ისტორიაში ყველანაირ წაგებათა რეკორდი მოხსნა. გასული წლის ბოლო კვარტალში კომპანიამ 44,9 მილიარდი დოლარი იზარალა, რითიც მისი წლიური წაგება 100 მილიარდზე ავიდა. გარდა ამისა, მედია-გიგანტი დატოვა მისმა ვიცე-პრეზიდენტმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ბიზნესმენმა, "სი-ენ-ენ-ის" დამფუძნებელმა და მშვენიერი ჯეინ ფონდას ყოფილმა მეუღლემ ტედ ტერნერმა.*

თორნიკე შარაშენიძე

როგორც მოსალოდნელი იყო, კომპანიის ამგვარი კრახის მიზეზად "ამერიკა ონლაინის" საინტერნეტო ბიზნესი იქცა, რომელმაც 2002 წლის უკვე პირველ კვარტალში 54 მილიარდით აზარალა კომპანია. ამ წარუმატებლობას, საბოლოო ჯამში, მედია-გიგანტის თავკაცი სტივ კეისი შეეწირა, რომელიც მალე ოფიციალურად დატოვებს თავის პოსტს. ამ პიროვნების მიერ განვლილი გზა ბიზნესში მართლაც რომ გასაოცარია. 1985 წელს მან, ჯიმ კემსისთან ერთად, დააარსა კომპანია "კუანტუმ კომპიუტერ სერვისისი," რომელიც მოგვიანებით "ამერიკა ონლაინად" იქცა. 1992 წელს კეისი კომპანიის თავმჯდომარე გახდა და აქციები საჯარო გაყიდვაზე გაიტანა. ორ წელიწადში "ამერიკა ონლაინის" ხელმომწერთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, 1998 წელს კომპანიამ მისი კონკურენტი "კომპიუსერვი" შეისყიდა, 1999 წელს კი – "ნეტსქეიფი." 2000 წელს შედგა გაერთიანება "ამერიკა ონლაინსა" და "თაიმ უორნერს" შორის, რასაც ამ უკანასკნელის აქციონერები ახლა ნამდვილად უნდა ნანობდნენ. იმ დროიდან მოყოლებული, საინტერნეტო ბიზნესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთობ ცუდ დღეში აღმოჩნდა და "ამერიკა ონლაინმა" გაერთიანებული კომპანია ისეთ ჭაობში ჩაითრია, რომ საქმე ლამის გაკოტრებამდე მივიდა.

კეისმა კომპანია დატოვა. მიდის ტერნერიც, თუმცა წარუმატებლობებში მას ვერავინ დაადანაშაულებს (კომპანიის საქმეები კიდევ უფრო უარესად იქნებოდა, რომ არა "სი-ენ-ენი" და კინოსტუდია "უორნერ ბრაზერზი," რომელსაც "ჰარი პოტერისა" და "ბეჭდების მბრძანებლის" მეშვეობით მილიარდები შემოაქვს). ამიტომ, როცა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ მისი წასვლა მხოლოდ პირადული მიზეზებითაა განპირობებული, ამაში ეჭვი არავის შეუტანია.

**"ჩემი ცხოვრების 50 წელი ამ კომპანიასთანაა დაკავშირებული და ამ გადაწყვეტილების მიღება რთული იყო,"** - აღნიშნა ტერნერმა, - **მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო. მე ღრმად მწამს, რომ კომპანია მალე გამოვა კრიზისიდან, რადგან მას ამოუწურავი პოტენციალი გააჩნია."**

ეკონომიკა

# სანამ ყველა ტროტუარი და გაზონი გაყიდულა

პირველი გვერდიდან


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ბესო ჭუღელი გაყიდული დედაქალაქის დემონსტრირებისას.

მიწის ნაკვეთები, ჩვეულებისამებრ, აუქციონებზე იყიდებოდა. თუმცა, ბესო ჯუღელი აცხადებს, რომ აუქციონები ფიქტიური ხასიათის გახლდათ და სინამდვილეში, მათ ჩატარებამდე იყო ცნობილი მომავალი მესაკუთრეების ვინაობა. ამდენად, აუქციონებზე მიწის ნაკვეთები საწყის ფასშივე იყიდებოდა. ანტიკორუფციული კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, იყო შემთხვევებიც, როცა აუქციონზე რამდენიმე კონკურენტი გამოჩნდებოდა, **"ასეთ დროს მიწის ნაკვეთის ფასი გაცილებით იზრდებოდა, მაგალითისთვის, ერთი კვადრატული მეტრი მიწა 600 ლარადაც კი გაყიდულა,"** – აცხადებს ჯუღელი.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ, სანამ ყველა ტროტუარი, გაზონი და საბავშვო მოედანი არ გაყიდულა, მანამ უნდა მოხდეს ამ პროცესის შეჩერება. სააკაშვილი იმ ადამიანების გვარების პრესაში გამოქვეყნებას ითხოვს, ვინც მიწის ნაკვეთები შეიძინა. ხოლო, რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც მიწის ნაკვეთების გაყიდვას მოაწერა ხელი, საკრებულოს წევრები ერთსულოვნად მოითხოვენ მათი თანამდებობებიდან გადაყენებას. **"მართალია, ამ ხელისუფლების ხელში ამ ხალხის დასჯა არ მოხდება, მაგრამ მომდევნო ხელისუფლებაში მე მივუჩენ მაგათ 2-3 კვადრატულ მეტრ მიწას ორთაჭალის ციხეში,"** – დაემუქრა სააკაშვილი მიწის გამყიდველებს.

საკრებულოს დაევალა, ერთი კვირის ვადაში პრესაში გამოსაქვეყნებლად მოამზადოს მიწის ნაკვეთების მფლობელთა გვარები; ასევე, მიიღოს დადგენილება აღნიშნულ ადგილებში მშენებლობების აკრძალვის თაობაზე. ხოლო თუ მაინც გაგრძელდება ტროტუარებზე რესტორნების მშენებლობა, მიხეილ სააკაშვილს ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის იმედი აქვს, რომელმაც უკვე **"შესანიშნავად ისწავლა ბულდოზერის ტარება."**

# რუსეთის უმსხვილესი აფერისტის თანამოაზრეებს სპეცსამსახურებში ეძებენ

სამართალი

პირველი გვერდიდან

ძალიან კარგად იციან ჩვენი მუშაობის სტილი და ჩვენსავე მეთოდებს გვიპირისპირებდნენ, კერძოდ, მალულად დევნას, თვალყურის დევნებას, მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას", - ამბობენ სამძებროს წარმომადგენლები.

ადამიანი, რომელმაც "MMM"-ის დაარსების შემდეგ სახელმწიფო დუმის დეპუტატობაც მოასწრო, საერთო ჯამში კი ათობით მილიონი ადამიანი 100 მილიონი დოლარით აზარალა, ახლა უკვე მოსკოვის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. დიდმა ფულმა და შემორჩენილმა გავლენამ მას ექვსი წლის მანძილზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალება მისცა. თუმცა, ამ ხნის მანძილზე სამართალდამცველთა ხელში მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრი ჩავარდა. სხვათა შორის, სერგეი მავროდის დაპატიმრება მისი უმცროსი ძმის სასამართლო პროცესის დასრულებას დაემთხვა. ვიაჩესლავ მავროდიმ ძმის საქმიანობა წარმატებით გააგრძელა, "ორმხრივი ნებაყოფლობითი შემოწირულობების სისტემის" შექმნით. იგი 2001 წელს დააპატიმრეს, თუმცა ინფორმაცია უფროსი ძმის შესახებ ვერ გამოსტყუეს (ირწმუნებოდა, ძმასთან კავშირი დიდი ხნის წინ გავწყვიტეო). უმცროსი მავროდის დაპატიმრებიდან ძალიან მალე, საკმაოდ მოულოდნელ ვითარებაში დააპატიმრეს სერგეი მავროდის ცოლი – ელენე მავროდი. იგი, სამ მამაკაცთან ერთად, პედიატრიის ინსტიტუტში სამკურნალოდ მყოფი თვენახევრის ბავშვის გატაცებას ცდილობდა, როგორც თავად ქალმა განაცხადა – შვილად აყვანის მიზნით. მას საკმაოდ მძიმე მუხლი წაუყენეს: "წინასწარი განზრახვით, ჯგუფურად ადამიანის გატაცების მცდელობა". მანამდე საზოგადოებამ ელენე მავროდი 1999 წელს გაიცნო, როცა მან სახელმწიფო დუმაში მოხვედრა სცადა და ტულის ოლქიდან იყარა არჩევნებში კენჭი. იმ დროისთვის მის ქმარს უკვე სამართალდამცველი ორგანოები ეძებდნენ – სერგეი მავროდის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე "MMM"-ის გადახდისუუნაროდ ცნობიდან ორი წლის შემდეგ, 1996 წელს აღიძრა.

# მსოფლიო ბანკის პირობა - კორუფციის შემცირება

პირველი გვერდიდან

და კერძო სექტორში ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს გაჯანსაღებისკენ გადადგმული ნაბიჯების მხარდაჭერას. სამხრეთ კავკასიის განყოფილების ახალმა რეგიონულმა დირექტორმა მკაფიოდ აღნიშნა ეფექტური მმართველობის გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო რესურსების (IDA-ს რესურსების ჩათვლით) უფრო რაციონალურად გამოყენების საქმეში. მან აგრეთვე დასძინა, რომ **"სამთავრობო პროგრამების ეფექტურობის ასამაღლებლად და კერძო სექტორის განვითარების შესაძლებლობის შესაქმნელად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორუფციის შემცირებას."**

ვიზიტის განმავლობაში დონა დოუსეთ-კოიროლო შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, სხვადასხვა დარგის მინისტრებს (ფინანსთა, ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის), ეკონომიკური რეფორმების დარგში პრეზიდენტის თანაშემწეს თემურ ბასილიას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს და სხვა ოფიციალურ პირებს. საქართველოში ჩამოსვლისთანავე დონა დოუსეთ-კოიროლომ სპეციალურად მოინახულა ბორჯომის ხეობა, რადგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ერთ-ერთი შესაძლო მსხვილი დამფინანსებელი სწორედ მსოფლიო ბანკია. მეორე დღეს, სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას, მან აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკი არ მიიღებს დაფინანსების გადაწყვეტილებას, თუ პროექტის განმხორციელებელი ნავთობკომპანია არ წარმოადგენს რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტის საფუძვლიანი შესწავლის შესახებ დოკუმენტაციას. **"ასეთია საერთაშორისო პრაქტიკა,"** - დასძინა დონა დოუსეთ-კოიროლომ.

*"24 საათი"*

მოკლედ

**თბილისი.** რუსთავში მოქმედი ექსტრემისტული მართლმადიდებლური ორგანიზაციის "ჯვრის" წევრები თავს დაესხნენ "იეღოვას მოწმეთა" კრებაზე შეკრებილებს და სასტიკად სცემეს ისინი. დარბევის შედეგად საავადმყოფოში აღმოჩნდა "იეღოვას მოწმეთა" ორგანიზაციის წევრი გიორგი მეფარიშვილი.

აღსანიშნავია, რომ "ჯვრის" ხელმძღვანელობა საჯაროდ აცხადებდა იეღოველთა მასიური დარბევის მზადების შესახებ, მაგრამ მათთვის ხელის შესაშლელად არაფერი გაკეთებულა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს თხოვნით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეიწყალა აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქე ილხამ კულიევი. მან უკვე მოიხადა სასჯელის ორი მესამედი და მისი შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენება საელჩომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ჩათვალა შესაძლებლად. საბუთები მისი შეწყალების შესახებ შარშან დეკემბერში შევიდა კანცელარიაში, თუმცა პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მხოლოდ იანვრის ბოლოს მიიღო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს ჩეჩენი ბოევიკების პანკისის ხეობაში შეჭრას და ამ საკითხში რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს. ამის შესახებ ვაშინგტონში განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ. **კავკას-პრესი**



თემო ჯაფარიძე





# პორტრეტი

ლია თოფურია

*ზღურბლს გადააბიჯებ და განსაკუთრებულ სამყაროში აღმოჩნდები.*
*აქ, როგორც ჩანს, სხვადასხვა ეპოქა შეერთდა და ამ პატარა სივრცეში ჰარმონიულად თანაარსებობს. პორტრეტები კედლებზე, თითოეული ნივთი, თვით ფრიად ორიგინალური საფერფლეც კი, უცნაურად ფიქრიანია. გეჩვენება, რომ ნახატებს შორის გაბმული აბლაბუდაც განსაკუთრებული ხელოვნებით არის ნაქსოვი. საკუთარი ნახატებით, წიგნებითა და ხელნაწერებით გარემოცული მასპინძელიც აშკარად რაღაც სხვა, ძალიან მონატრებული სამყაროს ბინადარია, ძველთაძველი სახლის ზედა სართულზე განმარტოებული, ამქვეყნიურ ამაოებას რომ განდგომია და საკუთარ სამყაროში ცხოვრობს... მაგრამ, ეს ერთი შეხედვით.*
*თემო ჯაფარიძის ნაწარმოებები თვითონ ამბობენ არა მხოლოდ მისი - ამ არაორდინალური პიროვნების, - არამედ მთელი მისი თაობის სათქმელს, ამბობენ ორიგინალურად და ზედმიწევნით თანამედროვედ.*
*ესაუბრები ბატონ თემოს და თანდათან ხვდები, რომ შენთვის უკვე ნაპოვნია პასუხი მის მიერვე დასმულ კითხვაზე: "სად არიან სულის არისტოკრატები, რომლებიც ეძებენ სამყაროსთან, ღმერთთან, კაცობრიობასთან, ადამიანებთან ნამდვილ კავშირებს, რომლებიც ეძებენ არსებობის და ყოფიერების აზრიანობას?" ("საით წასულან სულის არისტოკრატები". თ. ჯაფარიძე. გაზეთი "ეპოქა", 2001 წელი).*
*მხატვარი, პოეტი და მწერალი თემო ჯაფარიძე დაიბადა 1937 წელს თბილისში, ჩელუსკინელების ქუჩაზე. ჯაფარიძეების სახლი იდგა პატარა ბაღში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა მოედანია და გამუდმებით მანქანების საცობია. 12 წლის ასაკიდან ცხოვრობდა ვერაზე (ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა) და დაამთავრა VII ვაჟთა (ამჟამად N53) სკოლა. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. საზოგადოება მას იცნობს, ძირითადად, როგორც მხატვარს. 90-იანი წლებიდან კი ინტენსიურად იბეჭდება თემო ჯაფარიძის მხატვრული ნაწარმოებები და ესეები. მათ შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო "ქალის კაპრიზი და წყალში კენჭების სროლა" (ჟურნალი "ქომაგი") და დიდი სიყვარულით და პროფესიონალიზმით დაწერილი წიგნი "ნიკო ფიროსმანი" (გამომცემლობა "ნეკერი", 1999), რომელიც, ჩემი აზრით, ფიროსმანის ფენომენის შეცნობისა და გაგების თვალსაზრისით საუკეთესო ნაწარმოებია მათ შორის, რაც კი მის შესახებ დაწერილა. ამჟამად ბეჭდვის პროცესშია მეორე ნაწილი რომანისა "სარკე ბრმებისათვის" ("ჩვენი მწერლობა").*

**- ბატონო თემო, თქვენ ეკუთვნით სამოციანელებს, სამოციანი წლების თაობას, რომელიც თავისი სულიერი აქტივობით და შემოქმედებითი ენერგიით გამოირჩევა XX საუკუნის სხვა თაობებს შორის. თქვენმა თაობამ საბჭოთა აკრძალვების პირობებში დაამკვიდრა ახალი, არასაბჭოური განწყობები, აზრები და კულტურის ფორმები, რომლებიც დღესაც აქტუალური და მოწინავეა თანამედროვეობის ასპექტით. მომდევნო თაობებს არ აღმოაჩნდათ ის სისავსე და დიდი სათქმელი, რომელიც თქვენს თაობას ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, რითი აიხსნება ეს ფაქტორი, რატომ მაინცდამაინც სამოციანელები გამოირჩნენ.**

- მეჩვენება, რომ 50-იანი წლების შუა პერიოდში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის თანხვედრა. ჯერ ერთი მოვიდა, უფრო სწორად, ამ დროისთვის მოიწიფა თაობა, რომლის უცოდველი, თავისუფალი ხედვა და სიმართლისმოყვარეობა ჯერ კიდევ არ იყო შერყვნილი საბჭოთა ნაძალადევი იდეოლოგიით. მეორეც ის, რომ საბჭოთა ჰერმეტიულად დახურულ სივრცეში მცხოვრები ადამიანები გადაიღალნენ კომუნისტური ყალბი პათოსით, ხელისუფლების, პარტიის და სუკ-ის მხრიდან გაუთავებელი აგრესიით და სისასტიკით. მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა. ატმოსფერო დატვირთული და დაძაბული იყო რაიმე ცვლილების მოლოდინით. მესამეც ის, რომ სტალინი გარდაიცვალა და ხრუშჩოვმა მისი დიქტატორული მმართველობის სტილი მწვავედ გააკრიტიკა. ამან გამოიწვია ტოტალიტარული "კაგებეშნიკური" რეჟიმის შერბილება. ამ საფუძველზე ჭაბუკურ სიმართლისმოყვარე თაობაში თავშეუკავებელი ენერგიით გამოვლინდა საბჭოთა სისტემის მძაფრი კრიტიკა და ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების ძიება. რა თქმა უნდა, სტალინის ტირანია და სუკ-ის ფანტასმაგორული რეაქცია რომ გაგრძელებულიყო, სამოციანელებსაც ისევე დაკოდავდნენ სულიერად, როგორც წინა თაობები დაკოდეს, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ცვლილების ისტორიული დრო მოწიფული იყო. იმის ახსნა, თუ რატომ აღმოჩნდნენ ამ ახალგაზრდული თაობის წარმომადგენლები ნიჭიერები, ნიჭის შესაბამისად მიზანდასახულები, პრინციპულები და უკომპრომისოები - შეუძლებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ თაობაზე არ არის ლაპარაკი. სამოციანელებიდან მხოლოდ პატარა ნაწილმა მიიღო სულიერი არსებობის საფუძვლად თავისუფალი აზროვნება და საბჭოთა ყოფიერების სრული კრიტიკა. სხვათა შორის, ღმერთმა არა ქნას და საბჭოთა წყობილება ცოტა ხნით რომ დაბრუნდეს, დღესაც იგივე ვითარება შეიქმნებოდა. მოსახლეობის უმრავლესობა მონურად შეეგუებოდა რეჟიმს. დაიწერებოდა ლექსები ლენინზე და პარტიაზე, დაიხატებოდა კომუნისტი ბელადების და რუსი ჯარისკაცების იდეალიზებული პორტრეტები. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იმუშავებდა იატაკქვეშეთში ნამდვილი ხელოვნების გეზით. ბევრი იმათგანი, ვინც დღეს თავისუფლებისმოყვარეობაზე, ოპოზიციონერობაზე და ნამდვილი ხელოვნების პრინციპებზე დებს თავს, საბჭოთა პერიოდში საშუალო დონის შემგუებელი და სოცრეალისტი იქნებოდა.

**- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველო სატუსაღო იყო, 60-იანი წლები რატომღაც ნოსტალგიას იწვევს. თბილისიც უფრო ქალაქური, მშვიდი და მყუდრო იყო. რას იტყვით ამის შესახებ.**

- ალბათ, ნოსტალგია ჩვენი ახალგაზრდული წლებისადმი გვიჩნდება და არა იმ ეპოქისადმი. შეიძლება საბჭოთა გამოთაყვანებისგან ადამიანად გაღვიძებაც იწვევდეს ნოსტალგიას. თბილისიც უფრო თბილისური ქალაქი იყო. მიკრორაიონები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ე.წ. "ხრუშჩობები" რამდენიმე წლის შემდეგ აშენდნენ. მათ აშენებამდე სტუდქალაქი ქალაქისგან შორ ადგილად ითვლებოდა. მაგრამ თბილისის ოთახისებურ სიმშვიდეს მოქალაქეების ტუსაღური თვითშეგრძნება და იმედგატეხილი ბედსშემგუებლობაც ქმნიდა.

**- და მაინც, ხომ არ შეგიძლიათ მაშინდელი თბილისის და ხალხურ ლაბირინთებში წარმოშობილი ადამიანურობის, ნდობის გამომხატველი რომელიმე კონკრეტული ეპიზოდი გაიხსენოთ.**

- არ ვიცი, რამდენად უპასუხებს თქვენს მოთხოვნილებას ის ეპიზოდი, რომელიც ამ წუთში უნებლიეთ გამახსენდა, მაგრამ რადგან მაინცდამაინც ის მომაგონდა, გიამბობთ. რაღაც პერიოდში, მგონი 1956 წელს, ჩემზე გაცილებით უფროსი ნიაზ დიასამიძე დამიმეგობრდა. ორივენი ვერის უბანში ვცხოვრობდით. სადაც წავიდოდა, თან დავყავდი. ბევრს ხეტიალობდა. იმდენჯერ დაგვინახეს ქალაქში ერთად, რომ ნიაზის ნაცნობებს მოეჩვენათ, რომ იგი ჩემს გალოთებას აპირებდა. მაგრამ ეს ასე არ იყო. ნიაზის ლოთობა საბჭოთა ყოფიერებისადმი პროტესტის თავისებური ფორმა იყო. ერთხელ, გვიან ღამით მთაწმინდის უბანში პანთეონის ძირას მდებარე ვიწრო ქუჩაზე წამიყვანა ვილაცასთან სტუმრად. ქალაქში უამრავი ნაცნობი ჰყავდა. მასპინძლის სახე და სახელი არ დამამახსოვრდა. ის კი მახსოვს, რომ ჯერ კიდევ ბინდიან ალიონზე წამოვედით მისგან. პანთეონზე ავედით, საფლავები ჩამოვიარეთ და ამასობაში ნაცრისფრად ინათა კიდეც. ქვევით დავეშვით. დიდ დაღმართიან ქუჩაზე როცა მოვდიოდით, ერთი ღია ფანჯრის წინ ჩავიარეთ. ფანჯარაში გაკრიალებულ როიალს მოვკარით თვალი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, ნიაზი შეჩერდა და უკან დაბრუნდა. როიალიანი ბინის კარზე დააკაკუნა. ნასვამები ვიყავით და არ გამიკვირდა მისი საქციელი. მაინც ვუთხარი, უხერხულია-თქო. ნუ წუხარო, მიპასუხა და ხელით მანიშნა, ახლო მივსულიყავი. მივედი მასთან. კარი გაიღო და გამოჩნდა დაახლოებით 35 წლის ქალი. საშინაო უბრალო კაბა ეცვა. ნიაზმა ბოდიშები უხადა და მერე სთხოვა: თუ არ შეაწუხებდა, როიალზე დაკვრის უფლება მიეცა. ქალი უყოყმანოდ დათანხმდა, გაიღიმა და თქვა: მობრძანდით. შევედით ძალიან სუფთა ღარიბულ ოთახში. ოთახის ბოლოს მოჩითული ფარდა ეკიდა. ოდნავ გახსნილი იყო და ონკანი და სამზარეულოს ნაწილი ჩანდა. - დაბრძანდით, - შემოგვთავაზა მასპინძელმა. ნიაზი როიალთან დაჯდა, მე სავარძელში მოვთავსდი, რომელიც იმ ღია ფანჯარასთან იდგა, რომლიდანაც წეღან როიალს მოვკარით თვალი. ნიაზმა კიდევ მოიხადა ბოდიში. ქალმა დაამშვიდა, არაფერი უხერხული არ ხდებაო, თქვა და იმისთვის, რომ თავისუფლად გვეგრძნო თავი, ფარდით განცალკევებულ სათავსოში გავიდა. კედელს მიეყრდნო ზურგით. ნიაზმა დაკვრა დაიწყო. კარგად უკრავდა. რამდენიმე პატარა ნაწარმოები შეასრულა. მე კედელს მოყრდნობილი ქალის პროფილს ვხედავდი ბუნდოვნად. იქ შედარებით ბნელოდა. რატომღაც სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში მისი სილუეტი. კედელზე მოყრდნობილი თავი ოდნავ ზეაწეული ჰქონდა და, მგონი, სიამოვნებდა მუსიკის სმენა. იქნებ, ძალიან მარტოსული ადამიანი იყო და ჩვენმა მოულოდნელმა ადრიანმა სტუმრობამ სენტიმენტალური ზეიმის ხასიათზე დააყენა. ვერაფერს ვიტყვი გადაჭრით და ზუსტად. ვიცი, რომ ძალიან კარგად იქცეოდა, წმინდა ქალაქურად და გაგებით. გვენდობოდა და არ ეშინოდა. ცოტა ხანში ნიაზი წამოდგა. - დიდი მადლობა ქალბატონო, - თქვა მან ხმამაღლა. ქალი გამოვიდა თავისი საფარიდან. - თუ დაკვრა გინდათ, კიდევ დაუკარით, ნუ გერიდებათ. ძალიან კარგად უკრავთ, - უთხრა მან ნიაზს. ნიაზმა მადლობა და კვლავ ბოდიში მოუხადა. დავიძარით. ქალმა კარებამდე მიგვაცილა და როცა ქუჩაში გამოვედით, გვითხრა: - კიდევ მობრძანდით. გაგვიღიმა. მადლობა გადავუხადეთ და ქალაქისკენ დავეშვით ჩუმად. კარგად დამამახსოვრდა ეს ეპიზოდი. არ ვიცი, ზუსტად რას გამოხატავს იგი: ადამიანურობას და ნდობას თუ ქალაქური გამგებიანობის სტილს. დღეს ასეთი ნდობა, სამწუხაროდ, აღარ არის თბილისში. გაპროვინციალებული და გაველურებულია დღევანდელი თბილისი. მაგრამ მაშინდელ საბჭოურ სიტუაციას მაინც დღევანდელი თავისუფლება სჯობს.

**- რამ განაპირობა ახალგაზრდულ ასაკში თქვენი ანტისაბჭოური განწყობა.**

- უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ თითოეულ ახალ თაობას ბუნებრივად აქვს თანდაყოლილი სიმართლისმოყვარეობა და პროტესტი სიყალბის მიმართ. გარდა ამისა, ბავშვობიდანვე კარგ ადამიანებთან მომიწია ურთიერთობა. ჩაკეტილ სივრცეში ერთი განწყობის ადამიანები ადვილად პოულობენ ერთმანეთს. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ქუჩაზე ჩემს მეზობლად ცხოვრობდა პოეტი ანზორ სალუქვაძე. ლამაზი და ბოჰემური, სულით და ხორცით პოეტი იყო. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ იგი არ თაკილობდა ჩემთან მეგობრობას. ლექსებს მიკითხავდა. თბილისური ურთიერთობების საილუსტრაციოდ გამოდგება ანზორთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი. როცა ანზორმა ინოლა გურგულია შეირთო ცოლად, უბნის სამი ბიჭი მიგვიპატიჟა სახლში. ერთი ბიჭი ჩემი ტოლი იყო, ერთი ანზორის ტოლი. დაგვსვა, ინოლას უხმო და უთხრა: - ეს ბიჭები ჩემს უბანში ყველაზე უფრო მიყვარს. იმღერე მათთვის. ინოლა ჩვენს წინ ჩამოჯდა პატარა სკამზე, დიდი გიტარა მოიმარჯვა და დაკვრა დაიწყო. რამდენიმე საათი მღეროდა ჩვენთვის. გულით მღეროდა. აშკარად იგრძნო ანზორის მიერ მოწყობილი სიტუაციის ხიბლი. პიროვნებად ვიგრძენი თავი. ინოლამ მხოლოდ მაშინ შეწყვიტა სიმღერა, როცა ანზორმა უთხრა - კმარა, დაისვენეო. პირადად ჩემთვის ძვირფასი ეპიზოდია. როცა მოვიწიფე, ანზორ სალუქვაძემ ვერის ბაღში ბევრი საინტერესო პიროვნება გამაცნო, მათ შორის - პოეტი შოთა ჩანტლაძე, მწერალი ერლომ ახვლედიანი, ზურაბ კიკნაძე. ამ ადამიანებისთვის და სხვა არასაბჭოურად განწყობილი პიროვნებებისთვის ვერის ბაღი თავისებურ კლუბად იქცა, რომელშიც თავისუფალი საუბრები იმართებოდა სხვადასხვა თემაზე. ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და ფილოსოფიაზე საუბრების და კამათების პარალელურად ნიუანსურად განიკითხებოდა საბჭოთა სისტემის სიყალბეები. აქ გავიცანი გურამ რჩეულიშვილიც. მოგვეწონა ერთმანეთი და დავმეგობრდით. განუყრელად ერთად ვიყავით. გურამს მოსწონდა ჩემი ლექსები. ზოგი ლექსი თავისი ოთახის კედლებზე ჰქონდა ფანქრით მიწერილი. ჩემი ნახატებიც ეკიდა მისი ოთახის კედლებზე. გარდა ამისა, კარგ კლასში ვიყავი მე-7 ვაჟთა სკოლაში (ახლანდელი ორმოცდამეცამეტე). პედაგოგებიც კარგი გვყავდა, მათ შორის, ვარო ვარდიაშვილი და ოლღა ჭეიშვილი.

**- ხომ არ გახსოვთ ერთ-ერთი იმ ლექსთაგანი, რომელიც გურამ რჩეულიშვილს ჰქონდა კედელზე წაწერილი?**

- მაგალითად, 1955 წ. დაწერილი ლექსი ჰქონდა თავისი სავარძლის თავთან კედელზე მიწერილი:

არ ვიცი, რა მსურს რომ ვთქვა
მე ამით.
მაგრამ ვჩურჩულებ ხშირად მე ასე:
დედაჩემია დღეს მარიამი
და ჩემი თავის მე ვარ იესო.

**- მაშინ უკვე ხატავდით?**

- მხოლოდ ხანდახან და ისიც - ჩემთვის, თავშესაქცევად. მხატვარი თუ გავხდებოდი, ვერც წარმოვიდგენდი.

**- თუ წერდით, რატომ აირჩიეთ მხატვრის პროფესია. როგორ მოხდა ეს.**

- ხატვა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი ნაწერების გამოქვეყნების ყველა მცდელობა კრახით დამთავრდა. უჯრაში შენახული ნაწერების ავტორი უნდა გავმხდარიყავი. უასპარეზობის შემთხვევაში, შინაურ პირობებში მხატვრობა უფრო იოლი აღსაქმელია, ვიდრე ხელნაწერი. სტუმრისთვის ხელნაწერის კითხვა უხერხული და დამთრგუნველი პროცესია. ნახატთან კონტაქტი კი წამიერად ხდება. რადგან მხატვრობისკენ მიდრეკილებაც შევნიშნე ჩემში, გადავწყვიტე, ხატვა დამეწყო. 1962 წლიდან რეგულარულად ვხატავდი და მხოლოდ შიგადაშიგ, პერიოდულად ვუბრუნდებოდი წერას. ძალიან მალე დავინახე, რომ მხატვრობის გზა არანაკლებ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.

**- როდის განიცადეთ პირველად საბჭოთა ცენზურის მხრიდან წინააღმდეგობა.**

- 1964 წელს, როცა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩემი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ჩემმა მეგობრებმა თვითონ აიღეს თავის თავზე გამოფენის მოწყობის ინიციატივა. უნივერსიტეტის პარტკაბინეტი იყო მთავარი დაბრკოლება. მაგრამ პარტკომმა თანხმობა განაცხადა გამოფენის მოწყობაზე იმ მიზეზით, რომ ექსპოზიციის განხილვაზე ოფიციალურ კრიტიკოსებს მოიწვევდა. პარტკაბინეტი არ ელოდა, რომ გამოფენა ქალაქში აჟიოტაჟს გამოიწვევდა. ხალხს მობეზრებული ჰქონდა სოცრეალისტური იდეალიზებული პროლეტარები და ჯარისკაცები, ბელადები და "ტანკები". მას შიოდა ნამდვილი, ადამიანური ესთეტიკა. გამოფენაზე დიდძალი ხალხი მოვიდა . განხილვის დროსაც გადაჭედილი იყო დარბაზი. სიტყვებით გამოვიდნენ ოფიციოზის წარმომადგენელი კრიტიკოსები. ისინი ანაქრონისტულს უწოდებდნენ ჩემს მხატვრობას. ბურჟუაზიული სამყაროს ხელოვნების ესთეტიკას აკუთვნებდნენ ნახატების სტილს. არადა, "ფორმალისტური" ნამუშევრების გარდა, გამოფენილი იყო ლირიკული რეალისტური პორტრეტები. კრიტიკოსებს მათი ლირიკული სევდაც ანაქრონისტულ მოვლენად მიაჩნდათ. ერთმა კრიტიკოსმა თქვა: "თემო ჯაფარიძის დახატული ადამიანები ისეთი გამხდრები არიან, რომ სოციალიზმის და კომუნიზმის აშენებას ნამდვილად ვერ შეძლებენო". ამან აღშფოთება, სტვენა და ხარხარი გამოიწვია დარბაზში. ხალხი ნახატებს გულშემატკივრობდა. გამოფენის დამცველებიც გამოვიდნენ, მათ შორის - შალვა ამირანაშვილი, ნიკო ყიასაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ლალი ჯავახიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, მაგრამ ასეთ ადამიანებს ოფიციოზი ნაკლებად უსმენდა. მოკლედ, არასაბჭოურ მოვლენად შემრაცხეს.

**- მე როგორც ვიცი, თქვენი გამოფენის გახსნა აიკრძალა 1968 წელს.**

- დიახ, ასე იყო. ჩემი ანტისაბჭოურობის სტატუსი უფრო განმტკიცდა, როცა 1968 წელს ისევ ჩემი მეგობრების ინიციატივით მეორე პერსონალური გამოფენის ექსპოზიცია გაკეთდა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ორგანიზაციის შენობაში (ახლანდელი აშშ-ს საელჩო). გამოფენის გახსნა აიკრძალა, მაგრამ მანამ სუკი და კულტურის სამინისტრო გადაწყვეტდა გამოფენის აკრძალვას, ექსპოზიციამ რამდენიმე დღე გასტანა და იგი უამრავმა თბილისელმა ნახა. დარაჯს ნაბრძანები ჰქონდა, არ შეეშვა ხალხი დარბაზში, მაგრამ ხალხი ძალად არღვევდა კარებს. ისეთი ადამიანებიც კი მოდიოდნენ, რომელთაც ნაკლებად ესმოდათ და აინტერესებდათ მხატვრობა, მოჰყავდათ მოხუცი ბებიები და ბაბუები, მცირეწლოვანი ბავშვები. თითქოს რაღაც უცხო უნდა ენახათ. სენსაციურობა გამოიწვია ექსპონირებული ნახატების ესთეტიკამ. ის მართლაც უცხო იყო საბჭოთა ყოფისთვის. გამოფენილი იყო ექსპრესიონისტული, სურეალისტური და აბსტრაქტული ნამუშევრები. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ოციანი წლების შემდეგ პირველად მოხდა დაპირისპირება ოფიციალურ დონეზე თავისუფალ მხატვარსა და იდეოლოგიურ რეჟიმს შორის. გამოფენის გახსნა აკრძალეს და ნახატები სასწრაფოდ ჩამომახსნევინეს. ეს მაისში მოხდა. ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნების" ზაფხულის ნომერში დაიბეჭდა ერთ-ერთი სოცრეალისტი მხატვრის წერილი, რომელშიც ავტორი იდეოლოგიური ასპექტით აკრიტიკებდა ჩემს ნახატებს და იმათაც, ვინც ნება დამრთო ექსპოზიცია მომეწყო. "ნუთუ გამოფენის მომწყობებს არ ესმით, რომ თემო ჯაფარიძის იდეოლოგია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის იდეოლოგიას", - ასე წერდა იგი. ასეთი ბრალდების შედეგად სტალინის პერიოდში ადამიანებს ხვრეტდნენ. მას მიაჩნდა, რომ სოცრეალიზმი საქართველოსთვის ყველაზე ეროვნული და მაგისტრალური მხატვრული გეზი იყო. ამის შემდეგ წმინდა იატაკქვეშურად ვცხოვრობდი და ვმუშაობდი.

**- ალბათ, იოლი არ იყო სიმარტოვეში უასპარეზო და აუღიარებელ მდგომარეობაში მუშაობა.**

- ნამდვილი მხატვრული შედეგის მიღწევის მიზანი მაძლებინებდა.

**- როდის დაიწყო ოფიციალურ დონეზე თქვენი მხატვრად აღიარება.**

- როცა საბჭოთა იდეოლოგიური აკრძალვები მოიხსნა და სიტყვისა და ესთეტიკის თავისუფლება და საჯაროობა გამოცხადდა, "პერესტროიკის" ბოლო პერიოდიდან. 1988 წელს "მხატვრის სახლში" მოეწყო ჩემი ნამუშევრების დიდი გამოფენა. მაგრამ ხალხურ დონეზე, კულისურად მანამდეც მქონდა, მგონი, თავისუფალი მხატვრის სახელი. იგივე 1988 წლის დასაწყისში "მხატვრის სახლის" დირექტორმა თემო გოცაძემ შენობის შესასვლელ დარბაზში მოათავსა ჩემი დიდი ნამუშევარი "საიდუმლო სერობა", რომელიც 1972 წელს გავაკეთე. პოპ-არტის პრინციპით იყო განხორციელებული, მოცულობიანი და მძიმე იყო. იგი თბილისის დეკემბრის ომის დროს დაიწვა "მხატვრის სახლთან" ერთად, 1991 წელს. შემდეგ წლებში არაერთი გამოფენა მოვაწყვე სხვადასხვა კერძო გალერეებში (მათ შორის, პარიზში და ბრეტანშიც). 1996 წელს გალერეა TMC-მა (რუსთაველის პროსპექტზე) გაიმეორა 1968 წელს აკრძალული გამოფენა.

**- როგორც ვიცი, ბევრს ხატავდით. წერა როდისღა მოახერხეთ.**

- ძალიან ბევრს ვმუშაობდი. ხანდახან ისე ვიღლებოდი, რომ ორგანიზმი უარს ამბობდა მუშაობაზე. ასეთ დროს თავისებური არისტოკრატული სიზარმაცე დამეუფლებოდა ხოლმე. ვიჯექი და არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ ეს გარეგნული მოცლილობა თუ უსაქმურობა სიმულაციური აღმოჩნდა. შინაგანად მაინც ვმუშაობდი, რადგან განცდას და ფიქრს ვერ ვწყვეტდი. ამიტომ მხატვრობაზე ფიქრისგან სრულიად გათავისუფლებისთვის ვწერდი ხოლმე პერიოდულად. ერთი ტიპის სამუშაოდან სხვა სახის სამუშაოზე გადართვა თავისებურად "მასვენებდა", მაგრამ ეს სიტყვა არ უნდა იყოს ზუსტი ამ შემთხვევაში. განსაკუთრებით ბევრი ვწერე ოთხმოციანი წლების დასაწყისში და ოთხმოცდაათიან წლებში.

**- როდის დაიწყო თქვენი ნაწერების გამოქვეყნება.**

- 90-იან წლებში, განსაკუთრებით - მეორე ნახევარში. 1991 წელს მწერალ მაკა ჯოხაძის ინიციატივით ჟურნალ "მნათობში" დაიბეჭდა 1979 წელს დაწერილი დიდი მოცულობის ესსეი "ნახატის სიჩუმე". 1995 წელს გაზეთ "კავკასიონში" დაიბეჭდა პატარა მოთხრობა "პატრიოტი", რომელიც 1961 წელს დავწერე (ეს მოთხრობა ჯერ კიდევ 1961 წელს მივიტანე ჟურნალ "ცისკარში". ამ უბრალო მოთხრობაში ცხენზე ამხედრებული ბიჭუნა, რომელსაც ცხენი სოფლისგარე საძოვრიდან სახლში მიჰყავს, დადევნებულ მტრებთან ბრძოლას თამაშობს, მაგრამ თამაშის დროს მართლა იღუპება. ჯირითში მტრისგან ნასროლი წარმოსახვითი ისრის აცდენის დროს ცუდად გადაიხრება და ცხენიდან გადავარდება, თავს მიარტყამს ქვას და კვდება. მშობლები მალე იპოვნიან, გლოვობენ და ასაფლავებენ. საფლავის ქვაზე ხალხური ყაიდით ამოტვიფრავენ ლექსს: "რა ადრე წახველ სოფლიდან, ნეტა რა გეჩქარებოდა, შვილო, ცხოვრება ვინ იცის, როგორი გელოდებოდა". მოთხრობა სრულდება ფრაზით: "არავინ არ იცოდა, რომ პატარა ნიკომ სამშობლოს შესწირა თავი". ოტია პაჭკორიამ, რომელიც მაშინ "ცისკრის" რედაქციაში მუშაობდა, გადაწყვიტა - რადაც უნდა დაჯდომოდა, დაებეჭდა მოთხრობა. მართლაც ჩასვა მოთხრობა ჟურნალის უახლოეს ნომერში. ჟურნალის ნახევარი ტირაჟი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა მივლინებიდან დაბრუნდა რედაქტორი, სოცრეალისტი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მოითხოვა ჟურნალის ახალი ნომერი, გადაათვალიერა და ჯერ მხოლოდ მოთხრობის სათაურის ("პატრიოტი") გამო გამოხატა მწვავე აღშფოთება. როცა მოთხრობა წაიკითხა, ბრძანა შეწყვეტილიყო ჟურნალის ტირაჟის ბეჭდვა და მოთხრობა ამოაგდო.). ამჟამად მკითხველი საზოგადოებისათვის უფრო ფართო არჩევანია, მაგრამ დაბნეულმა მომხმარებელმა არ იცის, ყურადღება რაზე გაამახვილოს. ასეთ ვითარებას გაზეთების არანორმალური რაოდენობაც უწყობს ხელს. ისიც არის, რომ ჟურნალისტები და კრიტიკოსები ერთნაირი პათოსით და სიტყვებით საუბრობენ ნაკლებღირებულ და ხარისხოვან ნაწარმოებებზეც. მხატვრული კულტურის შეფასების ასპექტით სრული განუკითხაობა, უსისტემობა და უპრინციპობა სუფევს. ასეთ ვითარებაში მხატვრული კულტურა მხოლოდ შემოქმედის ანაბარა მიგდებულ, უპატრონოდ მყოფ მოვლენად იქცა.

**- მართლაც ქაოსია ლიტერატურისა და მხატვრობის დარგში. გული ხომ არ გაგიტყდათ? გულგატეხილობა და ხელჩაქნეულობა დღეს ჩვეულებრივ განწყობად იქცა.**

- კიდევ კარგი, რომ ჩემთვის მუშაობის პროცესია მთავარი. როცა ვმუშაობ, ჩემი თავი საჭირო ვინმე მგონია. არ ვიცი, რატომ ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ, მაგრამ რომ არ ვაკეთო, არ შემიძლია.

*პიროვნებაზე, ავტორზე იმაზე უკეთ ვერავინ იტყვის, ვიდრე მისივე ნაწარმოები. მეც ამ საუბარს დავასრულებ ნაწყვეტით თემო ჯაფარიძის ერთი ლექსიდან "შეცდომები" (1982 წელი).*

შეცდომებს ჩვენ ვერ
გავინაწილებთ,
ამდენი ცოდვა მოგვიღებს
ბოლოს,
მაგრამ რა ვუყოთ საწყალ
ნაძირლებს,
თუ პატიოსნებს ავირჩევთ
მხოლოდ.

# ფუნჯი, ფანქარი და ნავთის ღუმელი

ირინე სანებლიძე

*თბილისის საბავშვო სამხატვრო სკოლა საქართველოში ერთადერთია, ამიტომ მას ნომერიც არ აქვს. ამ სკოლის მოსწავლეები რესპუბლიკურ გამოფენებზე და სხვადასხვა სამხატვრო ღონისძიებებში სისტემატურად მონაწილეობენ. ბავშვები აქტიურები არიან საერთაშორისო ასპარეზზეც. 14 წლის ეკამ ლოზანის საერთაშორისო გამოფენიდან პირველი ჯილდო ჩამოიტანა. სამხატვრო სკოლას სხვა საშუალო სკოლების მსგავსი პრობლემები აქვს, თუმცა ის, როგორც სკოლის მესვეურები ამბობენ, მაინც გამორჩეულია...*

უსაქმოდ ნუ შემოხვალთო, აწერია თბილისი სამხატვრო სკოლის კანცელარიის კარს. დირექტორმა რომ გაიგო, გაზეთიდან ვაწუხებდით, განათლების სამინისტროში შეხვედრა კინაღამ დაავიწყდა. ნოდარ მუმლაძე სიამაყით გვესაუბრა სკოლის აღზრდილებზე და აღსაზრდელებზე, თანამშრომლებსა და ზოგადად, სკოლაზე, სადაც გუშინ ოცდაათამდე ფანჯრის მინა ჩაამტვრიეს. "მავნებლების" ძიება არავის დაუწყია, სამაგიეროდ, სკოლის "ზავხოზმა" გუშინვე დაიწყო მინების ჩასმა. "რაღაც ნივთების მარაგი შემორჩენილი გვაქვს ძველი დროიდან და, თუკი რაიმე მწყობრიდან გამოვა, ჩვენი ხარჯით და ბავშვების მიერ შეგროვებული თანხით ვაკეთებთ", - გვითხრა ქალბატონმა თინამ, რომელიც ამ სკოლის აღზრდილია და ამჟამად აქ მასწავლებლად მუშაობს.

აღნიშნული "წვრილი" ხარჯის გარდა ბავშვები წელიწადში 30 ლარს გასათბობად იხდიან. ნავთის ღუმელი ყველა საკლასო ოთახში დგას. "ყველგან ცივა, მაგრამ ჩვენთან გამორიცხულია გათბობის გარეშე გაჩერება. ხატვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბავშვებს ძირითადად, სველი ხელებით მუშაობა უწევთ", - განმარტა მასწავლებელმა.

გაკვეთილები ათამდე საკლასო ოთახში სამასორმოცდაათამდე


*გაკვეთილზე*

ბავშვს უტარდება. მეორე ცვლა განსაკუთრებით დატვირთულია. ბავშვები სწავლობენ ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, ქანდაკებას, ქსოვას, ამზადებენ დეკორატიულ ქსოვილებს, თოჯინებს.

სკოლის ორ დერეფანში განთავსებულია სადემონსტრაციო თარო, სადაც სკოლადამთავრებულთა და მოსწავლეთა ხელნაკეთობებია გამოფენილი. სკოლის დირექციამ კედლებზე ქართველ მხატვართა პორტრეტები დაკიდა. აქვეა გამოფენილი ძველი და ახალი თაობის მოსწავლეთა ნახატებიც. განსაკუთრებით გამორჩეული ნამუშევრები დირექტორის კაბინეტშიც მოხვდა, მოლბერტის, სეიფის და მაცივრის გვერდით. აქვეა 14 წლის მედალოსნის - ეკა ტაბლიაშვილის "უხმაურო ფრენა", რომელიც მან ლოზანაში საერთაშორისო გამოფენაზე წარადგინა და რომლითაც 150 ქვეყნის 450-მდე მხატვარს აჯობა.

სკოლის დირექცია და მასწავლებლები განსაკუთრებით იმით ამაყობენ, რომ სამხატვრო სკოლა ბავშვებს ძალიან უყვართ. "არასათანადო" საქციელისთვის ოჯახის წევრებისგან მათი დასჯის ერთადერთი მეთოდი და მუქარაა "...იცოდე, სამხატვროში არ წაგიყვან". "დღემდე ამართლებს ეს მეთოდი და თუ ჩემს დროს მილიციით გვაშინებდნენ, ახლა აქაური მოსწავლეებზე "სამხატვროდან გამოგიყვან" უფრო ჭრის",- გვითხრა მოსწავლის მშობელმა.

დირექტორი ასევე ძალიან ამაყობს, რომ "ამ პროფილის საბავშვო სასწავლებელი საქართველოში ერთადერთია. ანალოგი მხოლოდ მოსკოვში და ბალტიისპირეთშია".

თბილისის საბავშვო სამხატვრო სკოლა თითქმის 30 წლის წინ დაარსდა. სკოლა თბილისის 104-ე საშუალო სკოლის შენობაში განათავსეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისედაც ვიწროდ მყოფთ, თბილისის საერო ინსტიტუტი "გაენათი" დაემატა.

სკოლაში ბავშვები მეორე კლასიდან, 7 წლის ასაკიდან შეჰყავთ. პირველი ოთხი კლასი ფერწერას, კომპოზიციას, გრაფიკას, ძერწვას, ქსოვას, თოჯინების დამზადებას სწავლობენ. ოთხი წლის განმავლობაში ბავშვებს აკვირდებიან, ვინ რაში გამოავლენს მეტ ნიჭს; მეხუთე კლასიდან კი უკვე სპეციალური - ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფები იხსნება.

"ჩვენ გვინდოდა სპეციალიზებული საშუალო-სამხატვრო სკოლის გახსნა, ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებაც, მაგრამ ამას სპეციალური ბაზა სჭირდება, ამიტომ არ გამოვიდა", - გვითხრა სკოლის დირექტორმა. მისი თქმით, დაარსების დღიდან იყო საუბარი, რომ სკოლას დასჭირდებოდა გაფართოება, დამოუკიდებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მაგრამ, როგორც სკოლის დირექტორმა გვითხრა, საკლასო ოთახები 30 წლის მანძილზე კვლავ ნომერ პირველი პრობლემად რჩება.

# ახალი გამოფენის სამზადისში

თამარ მურვანიძე

"თავიდან ხატვა რომ დავიწყე, რა თქმა უნდა, არ მიფიქრია იმაზე, რომ ჩემი ნამუშევრები მაინცდამაინც გამოფენაზე უნდა გამეტანა, ჩემთვის ვხატავდი. ერთი პერიოდი ძალიან გულგატეხილიც კი ვიყავი, ხატვისთვის თავის დანებებაც მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა..." - ამბობს ახალგაზრდა მხატვარი ხატია წოწკოლაური. ასე ხატვა-ხატვაში მას 150-მდე ნახატი დაუგროვდა და თანდათანობით გამოფენაზე გასვლაც გაბედა; პირველი პერსონალური გამოფენა 2001 წელს ჰქონდა რუსთაველის გამზირზე მდებარე თოფაძის საგამოფენო დარბაზში. ამას მოჰყვა პოპულარულ "მზიურის" დღეებში მონაწილეობა გასული წლის ზაფხულში, ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა, რომელიც "მეტეხში" გაიმართა...

ხატია წოწკოლაურის ნამუშევრებს პირობითად განწყობილების ნახატები შეიძლება დავარქვათ: "ჩემი ნახატები ჩემს ხასიათზეა დამოკიდებული, თუ კარგ გუნებაზე ვარ, ხალისიანია ფერები და ამ ფერებით გადმოცემული განწყობილებაც, თუ თავს კარგად არ ვგრძნობ, ყველაფერი იცვლება..."

დამთვალიერებელი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას იმ ტექნიკას, რომელსაც ახალგაზრდა მხატვარი მუშაობის დროს იყენებს და თავად ე.წ. "ძაფის ტექნიკას" უწოდებს, "ძაფის ტექნიკით" ხატვის იდეა მას შემდეგ დაიბადა, როცა ერთ მშვენიერ დღეს წვიმისგან დასველებულ ჭერს ახედა და ჭერზე გამოხატულ ფიგურებს დააკვირდა: "სამ პირ ძაფს შავ ტუშში ვასველებ, მერე ძაფს ფურცელზე ვადებ, ზემოდან დავაფარებ მეორე ფურცელს და ძაფს გამოვაძრობ. წინასწარ, რა თქმა უნდა, არ იცი, რა გამოგივა, მაგრამ რაღაც კონტურები იკვეთება და ხატვას ვიწყებ. მარტივი ხერხია, მაგრამ ძალიან საინტერესოა. ეს კონტურები მკარნახობს, რა უნდა


*უცხო. ხატია წოწკოლაური*

დავხატო. მერე ვხატავ კალმით და ხუთი ფერით: მწვანე, წითელი, ლურჯი, შავი და ყვითელი. დანარჩენ ფერებს ამ ფერთა შეზავების შედეგად ვიღებ." ეს ხუთი ფერი მხატვარმა თავდაპირველად შემთხვევით შეარჩია და სხვა ფერები აღარ დაუმატებია. როგორც ამბობს, წინასწარ არასოდეს იცის, რას დახატავს, თემა თანდათანობით გამოიკვეთება ხოლმე მუშაობის დროს, მერე არქმევს ნამუშევარს სახელსაც, ხოლო როდესაც ფურცლის კიდეში ხელს მოაწერს, ეს ნიშნავს, რომ ნახატში აღარაფერი შეიცვლება (სხვათა შორის, მხატვარი საშლელსაც არ ხმარობს).

ახალგაზრდა მხატვარმა ტანსაცმლის მოდელირების თავისებური ტექნიკაც შეიმუშავა (ხატიამ დიზაინისა და ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა ამ საქმეს ერთი პერიოდი კარგა ხნით ჩამოშორდა), ამ ტექნიკით მუშაობა ძვირადღირებულ მოდის სფეროში შედარებით იაფი ჯდება და თანაც ორიგინალურია: ქსოვილზე ორნამენტებს სილიკონის ცხელი წებოთი აკეთებს, მერე კი ამ ორნამენტებს საღებავით აფერადებს. ძირითადი სამუშაო მასალაა: გამჭვირვალე ქსოვილი, ტყავი და სილიკონის წებო. კოლექციით "თანამედროვე კნეინა" ხატია წოწკოლაური "ამა"-ს ფესტივალის ნახევარფინალში გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფორმატისაა, ხატია წოწკოლაურის ნამუშევრები, ნამდვილად გამოდგებოდა წიგნის ილუსტრაციებად. თემატიკისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით მხატვრის ნამუშევრები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ტუშით შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები, ე.წ. "ძაფის ტექნიკა" და ვერცხლისფერი და ოქროსფერი კალმით დახატული სტილიზებული სურათები. თითოეულ ნამუშევარს თავისი შექმნის ისტორია აქვს...

ხატია წოწკოლაური ახალი გამოფენისთვის ემზადება.

# წითელქუდას ნაკვალევზე

## ამბავი დეიდა ჰანას ზღაპართა სერიიდან

ვერა ნეფარიძე

რა საერთო აქვთ ქართველ, ამერიკელ და ინგლისელ ხელოვანებს?, - თურმე "წითელქუდა". ყოველ შემთხვევაში, ეს ზღაპარი საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა თბილისში სტუმრად ჩამოსული ჯეინ იდენის, სოფი სითველისა და აქაურ ხელოვანთათვის საიმისოდ, რომ მათ ფინანსური მხარდამჭერებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად, გაეკეთებინათ რაიმე ერთობლივი და ახალი.

გუშინ ზანდუკელზე "კლუბ 22"-ში, "წითელქუდამ" დიდი ხმაური და მხიარულება გამოიწვია. თუმცა ვისთვის, როგორ... იდეა ძალიან ჩვეულებრივად დაიბადა. ზემოთხსენებულმა სტუმრებმა ქართველ მხატვარ-ფოტოგრაფ-მწერლებთან ერთად საერთო პროექტების პერსპექტივაზე ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს "წითელქუდასთვის" მიემართათ. ანუ, არჩევანი შეაჩერეს ზღაპარზე, რომელსაც ისინი ბავშვობაში სხვადასხვა ვერსიით ისმენდნენ. "მე პირადად, ძალიან არ მომწონს ამ ზღაპრის რუსული ვერსია, სადაც ბოლოს მგელს მუცელს უფატრავენ და იქიდან შეჭმული ბებია გამოჰყავთ. ყოველთვის მეცოდებოდა მგელი. მე არ მინდოდა, აქ მგელი მსხვერპლი ყოფილიყო ", - მეუბნება გუშინდელი აქციის ერთ-ერთი მონაწილე ფოტოგრაფი ლიზა ოსეფაიშვილი. თავად ლიზამ ამ გამოფენაში საკუთარი სტატუსი მგლისას შეადარა; მგელი, რომლისთვისაც წითელქუდა რეალურად ბუტერბროდი იყო და მეტი არაფერი. ამიტომაც, მისი ნამუშევარი ბუტერბროდის ნაჭრებად დანაწილებული ეროტიული წითელქუდაა.

აქციის ორგანიზატორებმა გუშინ ყველაფერი თანამიმდევრულად დაიწყეს. თავიდან სტუმრებს ზღაპრის ნაბეჭდი ვერსია დაურიგეს, სადაც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ანა კორძაია-სამადაშვილმა თავი მოუყარა "წითელქუდას" სამ - არქაულ (კლასიკური), ძმები გრიმებისა და ებრაულ ვარიანტებს. შინაარსიდან გამომდინარე სამივე მათგანი სრულდება სრულიად განსხვავებული შეგონებებით. შინაარსის გაცნობის შემდეგ, ყველა სტუმარმა (რომლებიც, ცხადია, ვერ ეტეოდნენ სოსო ალავიძის ცნობილ კლუბში) სანთლებით ხელში წითელქუდას მარშრუტი გაიარა. ისინი გზადაგზა ხვდებოდნენ ლადო ფოჩხუას, სოფო გონგლიაშვილის, თამუნა იოსელიანის, მამუკა ჯაფარიძის, თამრიკო მელიქიშვილის, ჯეინ იდენისა და სოფი სითველის ნამუშევრებს: მგლის ფიტულს, ბებიას ოთახს, ფოთლებით მოფენილ ტყეს, ეროტიულ წითელქუდას და ათასგვარ ნივთს, რომელიც რაიმენაირად მაინც შეიძლება დაუკავშირო ზღაპრის პერსონაჟებს. უფრო მეტის ნახვა და გაგება კლუბის მოკრძალებულ კედლებში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. გვიან ღამემდე ქილაში ჩაწყობილი სანთლები ხელიდან ხელში გადადიოდა, რიგს კი დასასრული ჩემს წამოსვლამდე, არ უჩანდა.

## მოკლედ

კომპოზიტორთა კავშირი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საანგარიშო კონცერტს გამართავს. სიმფონიური მუსიკის კონცერტი – "ქართული მუსიკის სიახლენი" ტრადიციულად ყოველი წლის ბოლოს იმართება.

როგორც კავშირის თავმჯდომარემ ვაჟა აზარაშვილმა განაცხადა, კონცერტზე შესრულებული იქნება სხვადასხვა თაობის კომპოზიტორების აქამდე უცნობი და ნაცნობი მუსიკალური ნაწარმოებები. ამ დღეს, რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მიერ 1903 წელს დაწერილ სიმფონიურ პოემას შეასრულებს. ეს პოემა დღემდე არავის მოუსმენია და შეიძლება ითქვას, რომ ის ქართველი კომპოზიტორის მიერ შექმნილი პირველი სიმფონიური ნაწარმოებია. აქამდე ცნობილი იყო, რომ საქართველოში სიმფონიური ნაწარმოებები 20-იან წლებში დაიწერა. კონცერტზე, ფოცხვერაშვილის ნაწარმოებების გარდა, შესრულებული იქნება ახალგაზრდა კომპოზიტორის ირაკლი ცინცაძის, აგრეთვე ვაჟა აზარაშვილის, ელიზბარ ლონდარიძისა და სხვათა ნაწარმოებები. სიმფონიური მუსიკის კონცერტი თებერვლის ბოლოს გაიმართება. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი შვეიცარიელ პიანისტს ჰანს-იურგ შტრუბს უმასპინძლებს. ჰანს შტრუბი სოლო კონცერტებს 18 წლიდან მართავს. მანამდე კი ის ვინტერტრურის კონსერვატორიაში სწავლობდა. შტრუბი რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და მუსიკალური ფესტივალის მონაწილეა. როგორც სოლისტი და კამერული მუსიკის შემსრულებელი, ის კონცერტებს ხშირად მართავს შვეიცარიაში, გერმანიასა და იაპონიაში. ამას გარდა, მუსიკოსი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა და ბახის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლექციებს კითხულობს, ატარებს მასტერკლასებს. მუსიკოსის შესრულებით გამოსულია კომპაქტ-დისკიც. შტრუბი თბილისს პირველად ეწვევა და კონსერვატორიის დიდ დარბაზში შუმანის, ბრამსის და მოცარტის ნაწარმოებებს შეასრულებს. კონცერტი 18 თებერვალსაა დაგეგმილი. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

საქართველოში აზერბაიჯანის ელჩმა ჰაჯი ჰაჯიევმა განაცხადა, რომ თბილისში დაგეგმილ აზერბაიჯანული თეატრის გახსნას, როგორც ეროვნული კულტურის კერას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ცნობილია, არსებობს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სპეციალური განკარგულება, რომელიც აზერბაიჯანული თეატრის გახსნას უკავშირდება. აზერბაიჯანელი ელჩის თქმით, უკვე აიყვანეს აზერბაიჯანელთა თეატრალური დასი, რომლებმაც შესაბამისი სასწავლებლები თბილისსა და ბაქოში დაამთავრეს.

"თბილისში რუსული და სომხური თეატრები მოქმედებენ, ამიტომაც აზერბაიჯანული თეატრის გახსნით დაინტერესება მნიშვნელოვანია", - თქვა ჰაჯი ჰაჯიევმა. მისი განცხადებით, თბილისში აზერბაიჯანული თეატრი 1948 წლამდე ფუნქციონირებდა. ამჟამად, თეატრისათვის შენობის გამოყოფის საკითხი წყდება. როგორც საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ალექსეი გერასიმოვმა განუცხადა, აზერბაიჯანული თეატრი ახლო მომავალში გაიხსნება და მას მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებს. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

ქორეოგრაფი გიორგი ალექსიძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს. პირველად საქართველოში ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებების მიხედვით საბალეტო კომპოზიცია "სერენადა" დაიდგმება. პრემიერა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 14 თებერვალს გაიმართება. სპექტაკლის დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე იქნება. "სერენადა" სიმებიანი ორკესტრისათვის არის განკუთვნილი. თბილისური პრემიერის შემდეგ საბალეტო დასი ჩინეთში დაგეგმილი გასტროლებისათვის მოემზადება. **("24 საათი")**

■ ■ ■

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ გამოფენას გალაკტიონ ტაბიძის ჩანახატები შეცვლის. მუზეუმის დირექციის თქმით, გამოფენა ეძღვნება გალაკტიონის გარდაცვალების 44 წლისთავს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, აგრეთვე, პოეტის რამდენიმე ფოტო. ექსპოზიციის გახსნისას მუზეუმთან არსებული ლიტერატურული თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სპექტაკლს რეჟისორი ზაალ ჩიქობავა დადგამს და მასში სხვადასხვა თეატრიდან მოწვეული მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. გამოფენის გახსნის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ის, სავარაუდოდ, ერთ თვეში გაიმართება. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

გაზაფხულზე რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში რუსული კულტურის დღეების გამართვას აპირებს. როგორც ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ სვინტიცკიმ განაცხადა, რუსეთის კულტურის დღეები სანკტ-პეტერბურგის 300 წლის იუბილეს მიეძღვნება. თბილისს რუსი მსახიობები და მომღერლები: იური შევჩუკი, მისი ჯგუფი "DDT" და ალექსანდრ როზენბაუმი ეწვევიან.

ნიკოლოზ სვინტიცკის თქმით, თბილისში გამოჩენილი კომპოზიტორის ალექსანდრ ბოროდინის დაბადებიდან 170 წლისთავიც აღინიშნება. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით ბოროდინის სიმფონიურ ნაწარმოებს "გოლიათის მეორე ისტორიას" შეასრულებს. რეპერტუარშია ასევე კომპოზიტორის 13 რუსული რომანსი. როგორც ნიკოლოზ სვინტიცკი ამბობს, სანკტ-პეტერბურგის კულტურის დღეები თბილისში ამ რამდენიმე თვის წინათ გამართული რუსული კულტურის დღეების გაგრძელება იქნება, სადაც ქართული საზოგადოება იხილავს კულტურის ცენტრის მიერ მოწყობილ გამოფენას – "ქართული სანკტ-პეტერბურგი". გამოფენაზე სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველების კულტურული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალებიც იქნება წარმოდგენილი. რუსეთის კულტურის დღეებს თბილისში კვლავ გრიბოედოვის თეატრი უმასპინძლებს. მაისში კი პეტერბურგში აღინიშნება ამ ქალაქის იუბილე, რომელსაც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრება. პეტერბურგის იუბილეში ქართველი ხელოვანებიც მიიღებენ მონაწილეობას. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

მახაჩყალის ცენტრალურ მოედანზე, ვლადიმერ ლენინის ძეგლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით სტალინის ბიუსტს დადგამენ. სტალინგრადის ბრძოლის 60 წლისთავთან დაკავშირებით სტალინის ბიუსტის დადგმის ცერემონია 2 თებერვალს გაიმართება. ბიუსტის გახსნაზე ნებართვა ქალაქის ადმინისტრაციამ გასცა.

ბრინჯაოს ბიუსტი ჩამოსხმულია სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ საწარმოში. იგი შეიქმნა მოქანდაკე ნიკოლოზ ტომსკის, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის ესკიზების მიხედვით. ბიუსტი სულ 300 ათასი რუბლი დაჯდა. **(კავკას-პრესი)**

## კალენდარი

### 2 თებერვალი

ჯეიმს ჯოისი დუბლინში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში დაიბადა. ჯერ იეზუიტების სკოლაში სწავლობდა, შემდეგ მათთან კავშირი გაწყვიტა და დუბლინის კოლეჯი დაამთავრა. მისი პირველი ნაწარმოებები სწორედ მაშინ, კოლეჯში სწავლის დროს დაწერა.

1904 წელს ჯოისი იტალიაში, ქალაქ ტრიესტში დასახლდა, შემდეგ პარიზში გადავიდა, იქიდან – ციურიხში. საარსებო ფულის საშოვნელად მწერალი, ფაქტობრივად, ყველანაირ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს და თაყვანისმცემელთა დახმარებასაც სიამოვნებით იღებდა.

1907 წელს, ლექსების კრებულის, "კამერული მუსიკის" გამოქვეყნების შემდეგ, ჯოისს პირველად გამოუვლინდა ავადმყოფობა, რომელმაც შემდეგ თითქმის მთლიანად დააბრმავა.

მკითხველის მიერ ინტერესით მიღებულ "დუბლინელებს" მოჰყვა "ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი", დიდი აღიარება კი მწერალს 1922 წელს გამოქვეყნებულმა, ჰომეროსის "ოდისეას" სიჟეტის მიხედვით შექმნილმა თანამედროვე რომანმა, "ულისემ" მოუტანა. ჯოისის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის პროზასა და ლიტერატურის თეორიაზე.

მეორე მსოფლიო ომმა მწერალს პარიზში მოუსწრო. ნაცისტების საფრანგეთში შესვლის შემდეგ ის ოჯახთან ერთად შვეიცარიაში გაიქცა და 1941 წელს იქ გარდაიცვალა.

**ჯეიმს ჯოისი**, ირლანდიელი მწერალი, დაიბადა 1882 წლის 2 თებერვალს.



ძიუდო

# ტატამზე წაქცეული ქართველები

*ერთი ხანობა მიძინებული სპორტის სასახლე თბილისში დაბრუნებული A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირით კვლავ გამოცოცხლდა. გამოცოცხლდა ძიუდოს გულშემატკივარიც, რომელიც მრავლად იყო სპორტის სასახლეში. დაფასდა მათი ქომაგობაც. ქართველ ძიუდოისტებს, ფაქტობრივად, ერთმანეთში მოუწიათ ურთიერთობის გარკვევა. დაფასდა მწვრთნელთა გარჯაც, რომელთა შეგირდებმაც ჩემპიონობა არავის დაანებეს.*

გიგა გურასაშვილი

ძიუდოს საერთაშორისო ტურნირს საფუძველი ჩაეყარა 1970 წელს. თბილისურმა ტურნირმა ძიუდოს მოყვარულთა შორის თავიდანვე მოიპოვა ავტორიტეტი. უმთავრესად, ძიუდოს ფუძემდებლების - იაპონელებისა, და ევროპელთა შორის გამორჩეული ფრანგების წყალობით. თბილისური ტატამი იმითაცაა დასაფასებელი, რომ აქ სხვადასხვა დროს არაერთ სახელოვან ძიუდოისტს მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონებს უასპარეზიათ. სახელების მხრივ მარტო იაპონელების - იამასიტას, ნინომიას, ენდოსა და სასაჰარას დასახელება რად ღირს, ან სახელოვანი ფრანგების - როჟეს, კანიოს და ალექსანდერის. ბუნებრივია, თბილისურ ტატამს საკუთარი რეკორდსმენებიც ჰყავს. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, გამოსარჩევია რამაზ ხარშილაძე და აკაკი კიბორძალიძე, რომლებსაც თბილისის საერთაშორისო ტურნირი ექვს-ექვსჯერ დაუტოვებიათ თავაწეულებს. სპორტის სასახლე ქართველმა ძიუდოისტებმა გუშინაც გამარჯვებულებმა დატოვეს.

თბილისის 30-ე საიუბილეო ტურნირის ასპარეზობის პირველი დღე სამ - 60, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმოთ. მივყვეთ თანმიმდევრობით. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთმანეთში პირველობას 19 ძიუდოისტი არკვევდა. ქართველთაგან ერთადერთი, ვინც პირველივე შეხვედრა დათმო, აკაკი ხანიშვილია. ქართველი ძიუდოისტი ისრაელის წარმომადგენელთან გალ იეკუტიელთან დამარცხდა. მისგან განსხვავებით, კარგად აიღეს სტარტი ლაშა სარდანაშვილმა, ნესტორ ხერგიანმა და ვახტანგ ხოსიტაშვილმა. პირველი, მეორე და მესამე შეხვედრის წარამტებით დაძლევის შემდეგ კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ ამ უკანასკნელთ ერთმანეთთან მოუწიათ დაპირისპირება. ნახევარფინალში ჯერ ხოსიტაშვილი და სარდანაშვილი წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. თუმცა, აშკარა იყო, რომ ერთერთ მათგანს ანალოგიურად გზაგაკვალულ ხერგიანთან მოუწევდა შებმა. ასეც მოხდა. პირველ ქართულ ფინალში ხერგიანი და სარდანაშვილი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინამდებარე ქართული ნახევარფინალური დაპირისპირებისას, პირთამდე გადაჭედილი სპორტის სასახლე გაორებული ქომაგობდა თანამემამულეებს. ჩემპიონობა კი ნესტორ ხერგიანმა მოიპოვა.

რაც შეეხება ნახევარფინალში მარცხნაწვნევ ხოსიტაშვილს, მან მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელა და არც თუ უიმედოდ. ხოსიტაშვილმა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა დაიმსახურა.

ზუსტად იგივე სცენარით წარიმართა 66 კილოგრამ წონითი კატეგორიის ასპარეზობებიც. პირველივე დაპირისპირებაში მარცხი იწვნია ზაზა კედელაშვილმა. მინდია ხომიზური, გიორგი რევაზიშვილი და დავით მარგოშვილი კი პირველი და მეორე შეხვედრების მოგების შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კერძოდ, ნახევარფინალში ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ რევაზიშვილი და ხომიზური. მათ შორის ფინალური საგზური კი ამ უკანასკნელმა მოიპოვა, ისევე როგორც დავით მარგოშვილმა, რომელიც მათ პარალელურად ღვრიდა ოფლს. ასე რომ, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც ქართული ფინალი შედგა. ჩემპიონობა კი მარგოშვილმა იზეიმა. ისე კი, მესამე ადგილის გარეშე არც აქ დავრჩენილვართ. ხომიზურთან წაგების შემდეგ რევაზიშვილმა მესამეობის შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და აკი მასაც შესწვდა.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე წონით კატეგორიაშიც გამარჯვებული ქართველია, ამ შემთხვევაში მოვლენები წინამორბედებისგან განსხვავებულად წარიმართა. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველივე წრიდან გამოეთიშნენ ასპარეზობას გიორგი ბაინდურაშვილი და დავით ქევხიშვილი. სამწუხაროდ, მეორე წრეში მათივე ბედი გაიზიარა ლევან სულხანიშვილმაც. თუმცა, მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა გააგრძელა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. ერთობ საინტერესოდ წარიმართა ნახევარფინალში დაპირისპირებული ქართველების პაექრობა. ტატამის ერთ მხარეს თუ დავით ბოდაველი იდგა, მეორე მხარეს საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ილიას ილიადისი (ზვიადაური) ემზადებოდა საბრძოლველად. "ქართველი ბერძენი" "ქართველ-ქართველს" ნახევარფინალურ საგზურში ვერ შეეცილა. ამრიგად, პირველი არამასპინძლური ფინალის მოწმეც შევიქენით. ბოდაველის მეტოქე კი არც მეტი, არც ნაკლები - იაპონიის ჩემპიონი იოში იშიკავა გახლდათ. გულშემატკივართა ხმაურის თანხლებით გამართულ ასპარეზობაში, ჩვენდა სასიხარულოდ, ბოდაველმა მიაღწია წარმატებას. ძირს გართხმული და თავზე ხელებწაფარებული იაპონელის შემხედვარეს კი ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ეტყობა, სირცხვილისგან თავის აწევის რცხვენოდა.

ასეა თუ ისე, ასპარეზობის პირველ დღეს სამი ჩემპიონი, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალოსანი გვყავს. დღევანდელი ასპარეზობები კი დაეთმობა 81, 90, 100 და მძიმეწონოსნებს.


გოგიტა ბახაიძის ფოტო
მომგებიანი გდება

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 41 წლის წინათ...



1962 წლის 1 აგვისტო, მილანი. "ინტერის" ფეხბურთელი სანდრო მაცოლა და მწვრთნელი ელენიო ერერა

ფეხბურთი

# ბოქშიჩი ფეხბურთიდან მიდის

გუშინ ხორვატიის ნაკრებისა და ინგლისური "მიდლსბროს" თავდამსხმელმა ალენ ბოკშიჩმა განაცხადა, რომ კლუბთან კონტრაქტს წყვეტს და ფეხბურთიდან მიდის.

33 წლის ფეხბურთელის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გაუთავებელი ტრავმებია. "მიდლსბროსთან" მისი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება, მაგრამ ბოკშიჩმა კლუბის ხელმძღვანელობა დაითანხმა და ხელშეკრულება ვადამდე დაარღვია. "ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად "მიდლსბრო" დავითანხმე, კონტრაქტი გაგვეუქმებინა, რათა ფეხბურთიდან წასვლის საშუალება მქონოდა", - განაცხადა ბოკშიჩმა ხორვატიულ გაზეთ "Sportske Novosti"-სთან საუბარში.

ალენ ბოკშიჩის კარიერა დაიწყო 1987 წელს "ჰაიდუკი სპლიტში", საიდანაც ის გადავიდა ფრანგულ "კანში", იქიდან კი - მარსელის "ოლიმპიკში". "მიდლსბროში" გადასვლამდე "იუვენტუსსა" და "ლაციოში" თამაშობდა.



ალენ ბოკშიჩი

# სერია A-ს ყველა ტრანსფერი

*31 იანვარს ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპულ კლუბებს ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა ზაფხულამდე, მომავალი სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე ეკრძალებათ. უკანასკნელი წლების მრავალმილიონიანი გარიგებების ფონზე, წლევანდელი სატრანსფერო ბაზარი უჩვეულოდ მშვიდი იყო, ზედმეტი ფული გრანდებსაც კი აღარა აქვთ. წლევანდელი ტრანსფერები, ძირითადად, იჯარის პრინციპით განხორციელდა – ახლა მოდაშია განათხოვრება.*
*დღეს გთავაზობთ იტალიის სერია A-ს კლუბების მიერ განხორციელებული ყველა ტრანსფერის ნუსხას.*

**ატალანტა**
*მოვიდნენ:* პაოლო ტრამეზანი (პიაჩენცა), სებასტიანო სივილია (პარმა), ნატალე გონელა (ვერონა), დავორ ვუგრინეცი (ლეჩე).
*წავიდნენ:* რინალდი (პიაჩენცა), ფაბიანო (ალზანო), ძინი (ასკოლი), ესპინალი (ტარანტო), მინელი (ვერონა), ლიოლიდისი (ალზანო), ბრევიარიო (პრატო), პეტინა (ფერნანა).

**ბოლონია**
*მოვიდნენ:* სტივ გოჰური (ივერდონი, *შვეიცარია*), დავიდ ფარაონი (პიევიგინა).
*წავიდნენ:* ბრიოსკი (კოზანცა), გორეტი (რეჯინა).

**ბრეშა**
*მოვიდნენ:* და სილვა (პალერმო), ხოსეპ გვარდიოლა (რომა), რაულ ალბერტო გონსალესი (სალერნიტანა), ფრანსისკო ალბერონი (ვასკო და გამა, *ბრაზილია*).
*წავიდნენ:* სტანკიავიჩუსი (კოზენცა), სრნიჩეკი (კოზანცა), კორეა (მარტინა), დელ ნერო (პალერმო), ჯუნტი (ბეშიქთაში, *თურქეთი*), გუანა (კიევო).

**კიევო**
*მოვიდნენ:* ფრედრიკ რისპი (გიოტებორგი, *შვედეთი*), ჯანლუკა გრასადონია (კალიარი), საშა ბჟელანოვიჩი (კომო), სტეფანო გარცონი (ალესანდრია), სიმონე კავალი (ტერამო), ფრანჩესკო კარბონე (სიენა), ანდრეა ტაკონელი (ალზანო).
*წავიდნენ:* დი ანჯელო (ნაპოლი), ლაზეტიჩი (ლაციო), მარაძინა (რომა), ლონგო (კალიარი).

**კომო**
*მოვიდნენ:* ნიკოლა კასია (პიაჩენცა), ფონსეკა *(თავისუფალი აგენტი)*, ლუიჯი ანაკლერიო (ბარი), ნიკოლა ამორუზო (პერუჯა), ლუკა ბალინგერი (სიენა), ჯუზეპე გრეკო (პადოვა), ანდერსონი (პადოვა).
*წავიდნენ:* დე ჩეზარე (პიაჩენცა), ბრევი (პალერმო), გოდეასი (პალერმო), ბჟელანოვიჩი (კიევო).

**ემპოლი**
*მოვიდნენ:* პასკუალე ფოჯა (მილანი), მარკო ბორიელო (მილანი), მარკო კარპარელი (ჯენოა), ნიკოლა პადოინი (პრატო), მარკო ვილაგატი (ტივოლი).
*წავიდნენ:* მაცი (ვიტერბეზე), მირი (კატანია), აგოსტინი (სიენა).

**ინტერი**
*მოვიდნენ:* გაბრიელ ბატისტუტა (რომა), ალბერტო კუადრი (სპეცია), ლუკა კასარელი (ვენეცია), ფრანსისკო ალბერონი (ბრეშა).
*წავიდნენ:* ფარინოსი (ვილიარეალი), ფერარო (პრატო).

**იუვენტუსი**
*წავიდნენ:* ბაიოკო (პიაჩენცა), მორეტი (მოდენა), კასანი (სამპდორია).

**ლაციო**
*მოვიდნენ:* მიქელანჯელო მინიერი (ფიორენტინა), ალესანდრო ტურჩეტა (ფიორენტინა), ნიკოლა ლაზეტიჩი (კომო), ალესანდრო მატიდი (ტერამო).
*წავიდნენ:* მანფრედინი (ოსასუნა).

**მილანი**
*წავიდნენ:* სარი (ანკონა), დონატი (ტორინო), ბორიელო (ემპოლი).

**მოდენა**
*მოვიდნენ:* ლასანა დუმბია (ცრვენა ზვეზდა, *იუგოსლავია*), ფაბიო ვინიაროლი (სალერნიტანა), ემილიანო მორეტი (იუვენტუსი), ანტონიო მარასკო (პალერმო), რუნე პედერსენი (კოპენჰაგენი, *დანია*), ჰერვასიო ესპოზიტო (რეჯინა), მარკო დასუ (რეჯინა).
*წავიდნენ:* ძამბონი (ვერონა), ტალდო (კატანია).

**პარმა**
*მოვიდნენ:* ალესანდრო პიერინი (რეჯინა), ჯუზეპე კარდონე (პიაჩენცა), იოან მონტანა (პიაჩენცა).
*წავიდნენ:* სივილია (ატალანტა), ბონაცოლი (რეჯინა), ტორიზი (რეჯინა), დიანა (რეჯინა), მარკიონი (პიაჩენცა), გრეშკო (ბლექბერნი, *ინგლისი*).

**პერუჯა**
*მოვიდნენ:* ფაბიო გატი (კატანია), ფედერიკო მიკოლი (ტერნანა), ტიაგო კალვანო (ბოტაფოგო, *ბრაზილია*), სიმონე კესობელი (კატანია), კრისტიან ბუჩი (კატანია), ალესანდრო რადი (ფლორენტია ვიოლა).
*წავიდნენ:* ნიკოლა ამორუზო (კომო).

**პიაჩენცა**
*მოვიდნენ:* ალესანდრო რინალდი (ატალანტა), ჩირო დე ჩეზარე (კომო), კლაუდიო ფერარეზე (ჩიტადელა), დავიდ ბაიოკო (პარმა), მარკო მარკიონი (პარმა), სანდრო კოისი (სამპდორია), ოლალეკან ბაბატუნდე (არეცო).
*წავიდნენ:* ტრამეზანი (ატალანტა), კაჩა (კომო), მარკოლინი (ნაპოლი), კარდონე (პარმა), სტელა (ასკოლი).

**რეჯინა**
*მოვიდნენ:* ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო ტორიზი (პარმა), აიმო დიანა (პარმა), ალესანდრო ძოპეტი (ლეჩე), რობერტო კარდინალე (სალერნიტანა).
*წავიდნენ:* პიერინი (პარმა), ჩირილო (ლეჩე).

**რომა**
*მოვიდნენ:* ოლივიე დაკური (ლიდსი, *ინგლისი*), მასიმო მარაძინა (კიევო).
*წავიდნენ:* გაბრიელ ბატისტუტა (ინტერი), გვარდიოლა (ბრეშა), ფაბიო ჟუნიორი (გიმარაეში, *პორტუგალია*), ბომბარდინი (პალერმო).

**ტორინო**
*მოვიდნენ:* ალექს მანინგერი (ფიორენტინა), მასიმო დონატი (მილანი), ფრანჩესკო სტატუტო (ლეჩე), კარლოს მარინელი (მიდლსბრო, *ინგლისი*), პაოლო ბელუჩი (გუალდო).
*წავიდნენ:* მასპერო (ფიორენტინა).

**უდინეზე**
*მოვიდნენ:* სოზა (ბოკა ხუნიორსი, *არგენტინა*), რუბენ მალდონადო (ვენეცია).
*წავიდნენ:* ბედინი (კოზენცა), გარგო (ვენეცია), მარტინესი (ნაპოლი).

კალენდარი

## 2 თებერვალი



ვლადე დივაცი

1954 - დაიბადა თინათინ ლეკვეიშვილი. ქართველი მოცურავე. სამგზის ევროპის ჩემპიონი, ევროპის 1976 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული და ვერცხლის მედალოსანი. ევროპის თასის მრავალგზის პრიზიორი.

1967 - დაიბადა არტურ ირბე. ლატვიელი ჰოკეისტი, მეკარე. ამჟამად იცავს "კაროლინის" ღირსებას.

1963 - ფინელმა ჭოკით მხტომელმა პენტი ნიკულამ, მსოფლიოში პირველმა გადალახა ხუთმეტრიანი ზღვარი.

1968 - დაიბადა ვლადე დივაცი. იუგოსლაველი კალათბურთელი. მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი.

1969 - დაიბადა ვალერი კარპინი. ესპანეთის "სელტას" და რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი.

1999 - თანამდებობიდან გადადგა ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, გლენ ჰოდლი.

კრივი

# სამჯერ ვიჩხუბებ და წავალ

ეს სიტყვები ბრიტანელ მძიმეწონოსან მსოფლიო ჩემპიონს, ლენოქს ლუისს ეკუთვნის. ლუისი გულისხმობდა ივნისში დაგეგმილ მატჩ-რევანშს მაიკ ტაისონთან და ორ ჩხუბს ძმებ კლიჩკოებთან. თუმცა, თუ მის ექსცენტრულ ხასიათს გავითვალისწინებთ, შეიძლება გადაწყვეტილება კიდევ შეცვალოს, მაგრამ, ნათელია, რომ ლუისი საპენსიოდ ემზადება.

პენსიაზე გასვლის შესახებ ბრიტანელს ადრეც უთქვამს, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია დონ კინგი, გადაწყვეტილება შეცვალა. დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა: ივნისში ლუისი "რკინის მაიკს" დაუპირისპირდება, შემდეგ კი უკრაინელ ძმებსაც გაეჯიბრება. ეს გადაწყვეტილება ბრიტანელმა კლიჩკოების პრომოუტერის კლაუს-პეტერ კოლის ზეწოლის შემდეგ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ტაისონთან შეხვედრამდე ლუისმა გააფორმა კონტრაქტი, რომლის ძალით ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრის ვალდებულება იკისრა. მოგვიანებით ბრიტანელმა გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ ამ მრავალმილიონიანი კონტრაქტის დარღვევა მსოფლიო ჩემპიონს დიდ საკომპენსაციო თანხად დაუჯდებოდა. "თუ ლუისი პირობას არ შეასრულებს და ჩემს კლიენტს - ვიტალი კლიჩკოს არ შეხვდება, მაშინ სასამართლოში ვიჩივლებთ", - განაცხადა კლაუს-პეტერ კოლმა.

სასამართლო დავიდარაბის თავიდან აცილების მიზნით ლუისის წარმომადგენლებმა მსოფლიო ჩემპიონი დაარწმუნეს, რომ საუკეთესო გამოსავალი კლიჩკოებთან შეხვედრა იყო. ლუისიც ამ პირობას დათანხმდა. მსოფლიო ჩემპიონთან საბრძოლველად რიგში პირველია WBC-ის ვერსიის ოფიციალური პრეტენდენტი ვიტალი კლიჩკო, მეორე კი მისი ძმა - WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმირია.

ბრიტანელი მოკრივის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი კლიენტი ივნისში ტაისონს შეხვდება, შემდეგ კი ვიტალი კლიჩკოსთანაც მოსინჯავს ძალებს. ოღონდ ამ ბრძოლის თარიღი მოგვიანებით, ტაისონთან ჩხუბის შემდეგ გაირკვევა.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჟორჟ ბიზე "კარმენი", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"პილატე", რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5,6,7, ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 15:00 სთ; ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების მემორიალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
ფოტოგამოფენა ფოკის მამათა მონასტრის დასახმარებლად

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"ტრანსპორტერი"
დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 21:30 სთ; ფასი 5 ლარი




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახნახევრიანი იზოლირებული პარკეტიანი, კაფელიანი ბინა. ტელ: 98-86-01

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა 2-აივნით, ბუხრით, ახალი გარემონტებული, ბ/აირით, წინამძღვრიშვილზე. 96-10-67

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც არეგულირებს წნევას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დევნის შლაკებს ორგანიზმიდან. აგრეთვე რეკომენდირებულია გულ-სისხლძარღვთა და დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. ფასი 5 ლარი.

ტელ: 52-30-30, 899 181945

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

იყიდება ახალი, ბელგიური, ფერადი ტყავის სამეულები. 39 38 23

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, წელის და ფეხის ასადგმელი ქამრები. ბრტყელტერფიანებისათვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

ვეძებ სპონსორს კერძო საბავშვო ბაღის პანსიონისთვის. 75 15 04

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

## TV პროგრამა 2 თებერვალი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ბუნება
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო
22.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ედი" 8 77 45-79-25 ვუპი გოლდბერგი, ფრენკ ლანჯელა, „სუპერმენი" 8 77 45-79-26, მარლონ ბრანდო, ჯინ ჰეკმანი, „ნელი" 8 77 45-79-27 ჯოდი ფოსტერი, ლიამ ნისონი
00.50 მხ.ფ. „ენიგმა" მთ. როლებში ქეით უინსლეტი, ჯერემი ნორტონი
03.00 კლასიკა

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „პარფიუმი"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები"
17.00 თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (პირდაპირი რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან)
18.20 ტაიმ-აუტი
18.35 დოკ. ფილმი „გაბრიელ შანელი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბოზენ"
21.25 ტელესერიალი „ქალები ზღვისპირეთში"
22.15 „ბენი ჰილი"
22.45 ქართ. მხ. ფილმი „ანგელოზის გადაფრენა"
00.15 ტაიმ-აუტი
00.45 მხ. ფილმი „საბოტა:ი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 გან. უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „სამართლიანი დადლი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 კვირის საუკეთესო ხულიგნები
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „40 დღე და 40 ღამე"
01.45 ფილმი ღამურა „მტრის ზურგში"
03.45 პაუზის ბარეში

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები
20.00 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „დიანა გულის მეგობარი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „მკვლელობის ათვლა"
10.20 მხ.ფ. „ჰელოუნი"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ერთხელ ამერიკაში" 1-ლი ნაწილი
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ერთხელ ამერიკაში" მე-2 ნაწილი
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „უჩინარი"
13.45 მხ. ფილმი „საცდელი დღე"
15.45 მხ. ფილმი „ქარბორბალა"
18.00 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი „უქილობა"
00.20 მხ. ფილმი „გზაჯვარედინი"

### მეცხრე არხი

10.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი"
11.10 მხ. ფილმი „ქარის ცხენი"
12.50, 15.00, 18.00, 19.10, 20.50, 21.55, 00.00, 01.45 მუსიკა
13.00 მუს. დოკ. ფილმი „ქისების მეორედ მოსვლა"
14.00 დოკ. ფილმი „ღვინის გზები"
14.30 გადაცემა „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა"
15.25 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-3 სერია
16.20 მხ. ფილმი „ქარის ცხენი"
18.20 მულტფილმი „ცეროდენა და ნამცეცა"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „ცოდვის შვილები"
21.00 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-4 სერია
22.05 მხ. ფილმი „სისხლიანი დანაშაული" მთ. როლში როგ ლოუ
00.20 მხ.ფილმი „სისხლიანი დანაშაული" მთ. როლებში ელმუს ლავი, ავიტელ დიკესი

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, საინფორმაციო გამოშვება
09.15 „ყველანი ვართ პატარები"
09.30 მულტსერიალი
10.00 სათავგადასავლო ფილმი „ჯორჯის კუნძული"
11.25 Слово
12.15 ისტორიული ფილმი „ხავერდოვანი საგა"
14.20 კომედია „ბანზაი"
16.15 მულტფილმი
17.10 ფანტასტიკა „მებრძოლის გული"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
20.20 მელოდრამა „დათვური ამბორი"
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 მელოდრამა „მერილინი და მე"
03.30 მელოდრამა „ნამდვილი დანაშაული"

### VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.30 „ლა-ლა-ლა"
19.00 „აჩიკუდა"
19.30 „ავტოტრეკინგი"
20.15 „კინოკლუბი „ - „მატყუარა, მატყუარა"
22.05 მობილურები
22.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
23.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.20 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.15 Служу России!
09.40 Мультфильм „Золотая антилопа"
10.10 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 „Властелин вкуса"
13.00 „Клуб путешественников"
13.45 Док.фильм „Паулюс. Военнопленный"
14.30 Умницы и умники
15.15 Сериал „Погода"
16.10 Большие родители. В. Чуйков
16.40 Фильм Ю. Озерова „Операция „Уран"
17.35 Воскресный „Ералаш"
18.00 Док.сериал „Живая природа". „Братья по крови"
19.00 Времена
20.10 Концерт „Локомотив" - чемпион"
21.50 Боевик „Случайный шпион"
23.30 Бокс. Денис Бахтов - Мэттью Эллис
00.00 Худ.фильм „Карты, деньги, два ствола"
00.55 Триллер „Предложение"

### РТР

07.20 Комедия „Маленькие спасатели"
08.35 Мультсериал „Джуманджи"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
09.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 „В „Городке". Отчет за январь
11.50 Худ.фильм „Горячий снег"
13.25 Док.фильм „Непобежденные", 2 с.
14.10 Парламентский час
15.00, 21.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 Док.сериал „Оружие России. Пятое поколение"
18.05 Комната смеха
19.00 Худ.фильм „Устоять невозможно"
20.50 В „Городке"
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ.фильм „Часовой механизм"
00.25 Комедия „День сурка"
02.35 Международный турнир по вольной борьбе серии Гран-При „Иван Ярыгин"

### НТВ

08.10 Худ.фильм „Полундра!"
08.40 Вкусные истории
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Худ.фильм „Тарзан и Затерянный город"
10.25 Лотерея „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь". Е.Проклова
12.40 Вы будете смеяться!
13.05 Влияние
14.05 Мелодрама „Воскресный папа"
15.45 Вкусные истории
16.00, 17.00, 19.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Это грозное слово „свекровь". Ток-шоу „Принцип „Домино"
19.05 Новейшая история: Сталинград-42. Последнее Рождество
19.55 Боевик „Над законом"
22.00 „Намедни"
23.30 Триллер „Обмен телами"
01.40 Сериал „Клан Сопрано"



# „ბრიტანეთის ავიახაზები„ - მომავალი თაობის ავიაკომპანია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" ტრანსნაციონალური ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზების" საქართველოს წარმომადგენლობამ პრეს-კონფერენცია გამართა, რომლის დროსაც წარმოადგინეს ის სიახლეები, რასაც ეს ავიაკომპანია თავის მგზავრებს სთავაზობს. პრინციპში, სიახლეს სულაც არ წარმოადგენს, რომ "ბრიტანეთის ავიახაზები" მსოფლის სამგზავრო ავიაბიზნესში ლიდერობისკენ ისწრაფვის და ამ მიზნით ყოველწლიურად მომსახურების დონის გაუმჯობესებას და დახვეწას ცდილობს. ხოლო ეს პროცესი რომ მოჩვენებითი, "კოსმეტიკური" ხასიათის არ არის, ამ ავიაკომპანიის სოლიდური კაპიტალდაბანდებებიც ადასტურებს. როგორც "ბრიტანეთის ავიახაზების" საქართველოს წარმომადგენლობის კომერციულმა მენეჯერმა, ლიკა დიასამიძემ გვამცნო, ბოლო ორი წლის განმავლობაში მგზავრობის სტანდარტების გაუმჯობესებისა და მომსახურების სფეროს გაფართოების მიზნით 600 მილიონი გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით, 1 მილიარდი აშშ დოლარი, - რედ.) ინვესტირება მოახდინა. ეს ამ სახის უდიდესი ინვესტიციაა კომპანიის არსებობის მანძილზე.



"ბრითიშ ეარვეიზის" პირველი კლასის ახალი სალონი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიზაინერის, კელი ჰოპენის შემოქმედებაა. ჰოპენი საუკეთესო ხარისხისა და ფაქტურის ქსოვილების მეშვეობით სალონში როლს-როისის ინტერიერის იმიტაციას აღწევს. "პირველ კლასში" თითოეული მგზავრისთვის გათვალისწინებულია განცალკევებული "კუპე", რომლის უნიკალური გასაშლელი სავარძელი თითქმის 2 მეტრის სიგრძის საწოლად იშლება. საწოლის დიზაინს წინ უძღოდა კომპანიის ფსიქოლოგებისა და ერგონომიკის ექსპერტების მიერ ძილის პროცესის კვლევა, მომხმარებლის აზრის შესწავლა. საბოლოოდ, შეიქმნა გარემო, რომელსაც ახასიათებს საკმარისი სივრცე, სიმშვიდე, სერვისის მოქნილობა, კომფორტი და დროის რაციონალურად გამოყენების საშუალება. თითოეული სავარძელი აღჭურვილია მრავალარხიანი ვიდეოეკრანით. ასევე, მასში ჩამონტაჟებულია დენის წყარო პორტატული კომპიუტერისა და ტელეფონისთვის.

რაც მთავარია, ასეთი მაღალი დონის მომსახურებით მარტო ბიზნეს-კლასის მგზავრები არ სარგებლობენ. თვით ეკონომ-კლასშიც კი, სავარძლები აღჭურვილია მგზავრის თავის, წელის, ფეხების კომფორტის შესაქმნელი რეგულირებადი მოწყობილობებით. ეკონომ-კლასის მგზავრსაც აქვს საშუალება, ისარგებლოს პორტატული კომპიუტერით და ტელეფონით, ამ კლასის სალონიც აღჭურვილია ინდივიდუალური ტელევიზორებით, რომელთა რეპერტუარში შედის ტელევიზიის 18 არხი, ვიდეოთეკა და 12 აუდიოარხი. ეკონომ-კლასის სავარძელი შექმნილია ავტორალის მანქანების სავარძლის ცნობილი გერმანელი დიზაინერის, რეკაროს მიერ.

და ბოლოს, ლიკა დიასამიძის თქმით, თუ ამჟამად სრულდება ჩარტერული რეისი ერევანი-თბილისი-ლონდონი, "ბრიტანეთის ავიახაზების" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 აპრილიდან თბილისს ამ რეისში აღარავინ ჩაეზიარება და დაინიშნება პირდაპირი რეისი თბილისი – ლონდონი.

## სკანდინავიური კროსვორდი




## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობები თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები იწყება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT, ელექტრონული კომერცია / HRM, პროექტის მენეჯმენტი

MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემის ინჟინერია, ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროგრამებით ისწავლიან, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც მაღალი აკადემიური მიღწევები არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

## DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

